[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
სარედ.—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს.
კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ხუთშაბათი, 30 ივნისი 1921 წ.

№ 96 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 96

ორი ძირითადი ჩვენი საჭიროება.

იმ ძირითად რევოლიუციურ აქტს, რომელიც საქართველოში მიმდინარე წლის თებერვლის გასულს მოხდა, ჩვენში თითქო ყველა შეურიგდა, თითქო ყველა—„დამოუკიდებელი სოციალ დემოკრატებიც“ კი—გულახდილათ აცხადებენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღდეგ არაფერი არა აქვთ, თითქო ყველა ისინი მზათ არიან საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას ემსახურონ.

მაგრამ ვინ არ იცის, ამხ. კიროვის თქმისა არ იყოს, რომ ახლა საბჭოთა რესპუბლიკას მზეს კადეტებიც ფიცულობენ. გვახსომებათ ცნობილი მილიუკოვის რჩევა რუსეთის ბურჟუაზიისადმი, რომელსაც ის წინად დებდა, აძლევდა, რომ დროებით დათმონ, საბჭოთა სისტემას შეურიგდენ და შემდეგ, როცა ამ გზით ნიადაგს მოიმზადებენ, იერიშები დაიწყონ.

ბრძნული რჩევაა!

და აი ასეთ ბრძნულ დასკვნამდე მიდის საქართველოში ყველა ჩვენი მოწინააღმდეგეც.

არც საკვირველია!

დღეს ისეთი საერთაშორისო მომენტი დადგა, რომ მათ შავს ზრახვებს სხვა გამოსავალი არ მოეძებნება: მათ ძალაუნებურათ უნდა იცნონ საბჭოთა მართვა-გამგეობის სისტემა და ეს მათი მხრით უკანდახევა იმით გაამართლონ, რომ ვითომ საბჭოების მართვა-გამგეობის მომხრე ისინი მუდამ იყვნენ.

აკი ნოე ჟორდანია თავიდანვე ორ სკამზე ჰჯდა წამომჯდარი და ორივეს იგი ასე მოხდენილად ეწყობოდა: მთავრობის თავმჯდომარის პორტფელს და მუშათა დეპუტატების საბჭოს სავარძელს.

დღეს რუსეთში ყველა ამგვარი ელემენტები თავს იყრიან, როგორც მათივე ორგანოები გადმოგვცემენ, შემდეგი ლოზუნგის გარშემო: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს და არა პარტიებს“.

ყველას გვახსოვს, რომ რუსეთის დიდი რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ჩვენი პარტიის ლოზუნგი იყო „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“! და ამხ. ლენინის მიერ ნაჩვენები გზაც მშვიდობიანი, საარჩევნო ნიადაგზე ბრძოლის გაძლიერების გზა იყო. ამ მხრით ჩვენი ლოზუნგი იყო: „საარჩევნო ბრძოლით უმრავლესობის დაპყრობა!“

მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ის ძალთა განწყობილება, რომელზედაც დამყარება შეეძლო პარტიას და მიზნისთვის მიეღწია, თავის დროზე ვერ გამოიყენა მან. კონტრ-რევოლიუციაც სწრაფათ განვითარდა და დაუზოგველობას, მკაცრი რეპრესიების გზას დაადგა დროებითი ბურჟუაზიულ რევოლიუციური მთავრობა და ყველა ამაების მეოხებით პროლეტარული მოძრაობა აშკარა შეიარაღებული აჯანყების გზას დაადგა: მუშათა კლასი იძულებული გახდეს 3 ივლისის გამოსვლა გაემართა და ამ ნიადაგზე პირველი წინასწარი გაკვეთილები მიეღო.

და აი მაშინ ლენინმა განაცხადა, რომ კითხვა, თუ რა გზით ვაწარმოვოთ რევოლიუცია, სამ ივლისის გამოსვლის შემდეგ გადაჭრილია: ვინაიდან ამ ერიდან მშვიდობიან ბრძოლაზე ლაპარაკი მეტია, უმრავლესობის დაპყრობის ცდა საბჭოებში უნდა შეიცვალოს ძალაუფლების შეიარაღებული დაპყრობით. მაგრამ მას ეს დაპყრობა ისეთ [illegible] როდი მიაჩნდა, რომ მისი გაქარწყლება არ შეიძლებოდეს. ამიტომ მისი აზრით აუცილებელი იყო განსაკუთრებით „ურწმუნო თომებისათვის“ მტკიცე საბუთებით დამტკიცებულიყო, რომ რუსეთის მებრძოლი რევოლიუციური პროლეტარიატი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შეძლებს არა მარტო დაპყრობას ძალაუფლებისას, არამედ „შეინარჩუნებს“ კიდეც ამ ძალაუფლებას.

და ეს დაამტკიცა ჯერ თეორეტიულათ ამხ. ლენინმა თავის ცნობილ ბროშურაში სექტემბრის თვეში, ხოლო ოქტომბრის რევოლიუციამ და შემდეგი წლების განმავლობაში მისმა განვითარებამ ეს დებულება პრაქტიკაშიაც, სინამდვილეშიაც ნათელ ჰყო: ბოლშევიკებმა შეინარჩუნეს და განამტკიცეს კიდეც სახელმწიფოებრივი ძალაუფლება არა მარტო რუსეთში, არამედ მის ზოგ მეზობელ მხარეებშიც.

მაგრამ რაც დრო გადის და რაც საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორია დიდდება, რაც ბოლშევიზმის გავლენა ვრცელდება, მით სულ უფრო და უფრო მეტი პარტიული და სხვა ძალებია საჭირო, რომ ძალაუფლება ამ ვეება სივრცეზე და ისიც ეკონომიურათ უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში ბოლომდე შენარჩუნებულ იქნას. ამისთვის კი ორი რამ არის საჭირო: ერთი ის, რომ „დროზე მოგვეშველონ, მოვიდენ დასახმარებლათ ჩვენი მოკავშირეები დასავლეთიდან“, როგორც ამას ლენინი ჯერ ისევ 1918 წლის დასაწყისში ამბობდა, ხოლო მეორე ის, რომ ადგილობრივათ, ყოველ მხარეში და ცალკე საბჭოთა რესპუბლიკაში ადგილობრივი ძალები იმდენათ იზრდებოდნენ, მრავლდებოდნენ, რომ საბჭოთა წყობილების აღმშენებლობის გაძღოლა შეძლონ.

„საბჭოთა სახელმწიფოებრივი ძალაუფლების შენარჩუნება და მისი გამაგრება განმტკიცება, აი რა არის უმთავრესი ჩვენთვის დღევანდელ მომენტში“, სთქვა ამას წინათ თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე თავის მოხსენებაში მომენტზე ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობის მეთაურმა, ამხ. ფილიპე მახარაძემ და ეს სრული ჭეშმარიტებაა.

მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა მეორე დებულებაც, რომელიც იმავე ამხანაგმა წამოაყენა იმავე მოხსენებაში და რომელიც [illegible]: საბჭოთა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა ძალუძს მხოლოდ კომუნისტს და სხვას არავის.

აქედან აუცილებელი ხდება, რომ მთელი ჩვენი ძალღონე ამ ორი საჭიროების დასაკმაყოფილებლათ უნდა იქნეს მიმართული.

პირველი,—რომ განმტკიცებულ-გამაგრებული, განვითარებულ-გაზრდილ იქმნას კომუნისტური პარტია ადგილობრივათ ადგილობრივ ელემენტებისაგან, ამით ჩვენ შევძლებთ საბჭოთა აღმშენებლობის წარმოებას და მის განმტკიცება-შენარჩუნებას, ვიდრე „დასავლეთიდან მოგვეშველებიან“.

ხოლო მეორე—რომ „დასავლეთიდან მოგვეშველონ“, ამისთვის საჭიროა წარმოებულ იქნეს მტკიცე მაგარი საერთო „აღმოსავლეთის პოლიტიკა“. ამით ჩვენ საშუალებას და შეძლებას მივცემთ ევროპის პროლეტარიატს დასძლიოს შინაური მტერი—კაპიტალიზმის წინააღმდეგობა და მსოფლიო პროლეტარულმა რევოლიუციამ გაიმარჯვოს, ამით რუსეთის დიდი პროლეტარული რევოლიუციაც საბოლოვოთ გაიმარჯვებს.

მაგრამ პირველი ჩვენი ადგილობრივი საჭიროება რომ დაკმაყოფილებულ იქნას, ამისთვის უკვე არსებულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუყონებლივ უნდა მიმართონ თავიანთი ძალები ადგილობრივათ მუშათა და გლეხთა მასსების საქმეში, ცოცხალ საზოგადოებრივ საქმეში ჩაბარებათ, დაიჭირონ ამ მასსებთან მჭიდრო კავშირი და მათი სულიერი გარდატეხა შესძლონ.

ჩვენს პარტიას მუდამ უნდა ახსოვდეს და მხედველობიდან არ გაუშვას ის გარემოება, რომ საქართველოში მთელი ათეული წლების განმავლობაში ეს მშრომელი მასსები სოციალ-დემოკრატიის და ისიც მენშევიკური სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ იბრძოდა თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ და წარმოიდგინეთ მისი ჰეგემონია ბოლო ხანებში საქართველოს ყველა ნაციონალისტურმა პარტიებმაც კი იცნეს.

აი რა გვაქვს ჩვენ ჩვენს ხალხში და საძლევი. ჩვენ კი ამას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ და ბევრს ჰგონია, რომ „წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციით“ ყველაფერს შევქმნით. არა, ჩვენი ხალხი ამ მხრით საკმაოდ სიმაღლის კულტურულ დონეზე დგას, რომ მისი საბჭოთა აღმშენებლობა ნაყოფიერი და მტკიცე იყოს. მას აკლია სულ სხვა, მას აბრკოლებს ერთგვარი სულიერი განწყობილება, რომელიც შექმნილია ძველი „სოციალისტური“ იდეოლოგიით და აი ეს ძველი იდეოლოგია უნდა განდევნილ იქნას მისი გონებიდან.

ამისთვის კი საჭიროა განსაკუთრებული მისთვის, ჩვენი ხალხისთვის გასაგები და მისადგომი გზები, მეთოდები.

აი რას უნდა მიექცეს დღეს უპირველესი ყურადღება და მაშინ ჩვენი შინაური მტრების ლოზუნგიც „მთელი ძალაუფლება საბჭოებს და არა პარტიებს“ საბჭოთა რესპუბლიკას სასარგებლოთ გამოდგება.

საბჭოთა რუსეთის პრესა

ბრიტანიის საქმეები.

ამ დღეებში ჩვენ ვსვამდით კითხვას ინგლისის იმპერიალისტების მონაწილეობის შესახებ ვლადივოსტოკის ავანტიურაში, რომელიც მოაწყვეს იაპონელებმა. მაშინ არ გვქონდა ჩვენ ცნობები, თუ როგორ უყურებდა მას ინგლისის პრესა. ახლა კი უკვე გვაქვს ცნობები, მაგრამ არა იმის შესახებ, თუ რას ამბობს ინგლისის პრესსა ვლადივოსტოკის ამბების შესახებ, არამედ იმის შესახებ, რომ ის ამის შესახებ სრულიად სდუმს. ინგლისის პრესის ეს საკვირველი დუმილი მხოლოდ ამტკიცებს ჩვენს ეჭვებს და რომ ეს ეჭვები სავსებით უსაფუძვლო არაა, სჩანს იქიდან, რომ ასეთივე ეჭვებს გამოთქვამს ერთად ერთი ინგლისის გაზეთი, რომელიც შეეხო იაპონიის ავანტიურას, სახელდობრ,—„დეილი ჰეროლდი“.

ყოველგვარ საფუძველს მოკლებული განცხადებები, იმის მაგვარათ, როგორიც გაუკეთა ამ გაზეთის თანამშრომელს ერთმა ვიღაც საიდუმლო „პირმა“, განცხადებები, რომლებიც ეხება იმას, რომ ვითომ ინგლისის მთავრობამ არაფერი არ იცოდა იაპონიის საქციელის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში, სრულებით არაფერს არ ამტკიცებს. სრულიად წარმოუდგენელია, რომ ინგლისის მთავრობას, რომელიც კავშირშია იაპონელებთან, არაფერი არ ცოდნოდა მათ გეგმების შესახებ, რომლებიც საფრთხეში აგდებდა ინგლისის მთავრობას ასეთი ავანტიურისტულ ქცევით, ყოველ შემთხვევაში ჩრდილავდა მაინც მის გულწრფელობას. და მასთან რას ნიშნავს—„არაფერი არ იცოდა“? ინგლისის მთავრობას უნდა მოეთხოვა განსაზღვრული დაგმობა იაპონიის ავანტიურის. ჩვენ ვამბობთ: იაპონიის და [illegible] სემინოვის, ვინაიდან ყველასათვის, თუ გინდ ისეთებისათვისაც რომლებსაც სემინარიაც არ უნახავთ (ხოლო ლოიდ-ჯორჯს მგონი უნახავს) სრულიად ნათელია, რომ ვლადივოსტოკის ამბები, როგორც ნოტებზე, ისე ნათამაშები იაპონიის ოკუპანტების მიერ, რომლებიც ახლა, უნდა ვიფიქროთ, ცდილობენ გამოიყენონ მათ მიერვე პროვოკაციულათ მოწყობილი გამოსვლა, რათა შეაჩერონ იაპონიის ჯარების ევაკუაცია ციმბირიდან. სწორედ ასევე ჩვენ სრულიადაც არ გვაკმაყოფილებს „დეილი ჰეროლდის“ ინფორმატორის ორჭოფული განცხადება ვრანგელის ჯარების გადასროლის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში. კითხვა სრულებით იმაში კი არაა, რომ დაუჭერს თუ არა აშკარათ ინგლისის მთავრობა მხარს ამგვარ გეგმებს, არამედ კითხვა იმაშია, გაუწევს თუ არა ის აქტიურ წინააღმდეგობას ასეთი გეგმის განხორციელებას.

საერთოდ ლაპარაკი თემაზე: „я—не я, и лошадь не моя“, უადგილოზე უფრო მეტია და პირდაპირ სასაცილოა. როგორაა ეს, რომ „არაფერი არ იცოდნენ“, როდესაც ერთ და იმავე დროს დეპეშები ატყობინებენ ინგლის-იაპონიის ხელშეკრულების განახლების შესახებ ბრიტანიის მთავრობის ინიციატივით?! კიდევ უფრო მეტი, უყურეს რა, რომ ამერიკა წინააღმდეგია იაპონიის მტაცებელ გეგმებისა აზიის კონტინენტზე და წყნარ ოკეანეს სანაპიროებზე, ინგლისი თავგამოდებით დგება მისა და იაპონიას შორის, რათა შეანელოს მოსწიფებული კონფლიქტი და გაუადვილოს გზა იაპონიას მისი მტაცებლური ოცნების განსახორციელებლათ.

ამ გვარათ ვღებულობთ ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ბრიტანიის მთავრობა ხელს უწყობს ახალ საერთაშორისო კონფლიქტებს. აქვე ის ემზადება ახალ ომის დასაწყებათ ოსმალეთთან, და მეორე, შესაფერი განკარგულებები ინგლისის ფლოტისთვის ხმელთა შუა ზღვაში უკვე გაცემულია.

რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ბრიტანიის შინაური მდგომარეობა ისეთია, რომ მას შეუძლია დაუშვას ისეთი ფუფუნება, როგორიცაა ახალი ომი? განა ცალია მას ახლა ომისთვის? უკანასკნელ ოფიციალურ ცნობებით ინგლისში ამ ჟამათ ითვლება $5^{1}/_{2}$ მილიონი უმუშევარი. ჯერ კიდევ მემაღაროეთა 2 თვის გაფიცვაც კი არ დათავებულა, რომელიც გამოწვეული იყო მაღაროების მეპატრონეთა ლოკაუტით, რომ დაიწყო უკვე ფაბრიკების ლოკაუტი, რომელმაც უნდა ჩაითრიოს კიდევ რამოდენიმე ასი-ათასი კაცი, ხოლო პერსპექტივაში კი უკვე შენიშნულია მექანიკების, რომლებსაც ხაზეინებმა უკვე განუცხადეს სამუშაო ქირის შემცირება, და სასოფლო სამეურნეო მუშების ლოკაუტი. ბრიტანიის იმპერია იმყოფება კოლონიალურ სოციალურ კონფლიქტებისა და შეიძლება ითქვას, დიდი შეხლა-შემოხლის წინ, ღრმა შინაგანი შეხლა-შემოხლა აუცილებლათ გამოიწვევს რევოლიუციონურ მოძრაობას ინგლისის კოლონიებში. და ამავე დროს კი, ასეთ პირობებში ინგლისის მთავრობა, ანდა მისი გავლენიანი წრეები მაინც ბედავს არაჩვეულებრივ სარისკო ოპერაციებს.

ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ ინგლისის ბურჟუაზია, დარწმუნდა რა კაპიტალიზმის უუნარობაში უზრუნველ ყოს საველო მდგომარეობა თავის თეთრ მუშებს, მიმართავს საგარეო დივერსიებს, რათა მოაცილოს ფართო მასების გულისყური შინაურ კითხვებს და გამოიწვიოს მათში შოვინისტური გრძნობების აღტკინება? არის ეს განსაკუთრებული ხერხი „კარგი“ არჩევნების მოსამზადებლათ, თუ ეს გაწირული კლასის გარეტიანებული პოლიტიკაა? ნუ თუ უკვე გრძნობს ასეთათ თავის თავს ინგლისის ბურჟუაზია?

არ ვიცით. მაგრამ ჩვენ მტკიცეთ ვიცით ერთი: საბჭოთა რუსეთის მშრომელთა მასები მეტის მეტად გართული არიან თავისი შინაური მეურნეობის საკითხებით, რომ მოისურვონ რაიმე საგარეო გართულება. რაც კი არ უნდა თქვან ამის შესახებ უსაქმოთ დარჩენილმა მეჭორეებმა და დაქირავებულმა ფალსიფიკატორებმა, რომლებიც ყოველ დღე იგონებენ „საბჭოთა მთავრობის ინსტრუქციებს თავის საზღვარგარეთულ წარმომადგენლებისადმი“ მაგრამ როგორადაც არ უნდა სძაგდეს რუსეთის ხალხს ომი, მას არ შეუძლია დაუშვას, რომ მის ცოცხალ სხეულზე ექსპერიმენტებს აკეთებდენ საერთაშორისო კაპიტალის სადიდებლათ და ყველასახისა და ფერების იმპერიალისტურ მტაცებლების ინტერესებისათვის.

ი. სტეკლოვი.

„იზვესტია“ № 126.

კომინტერნის მე-3 კონგრესი.

ამხ. ზინოვიევის სიტყვა.

(დასასრული)

მოსკოვი 24 ივნისი (რადიო). ჩვენ მოგველის დიდი მუშაობა. ჩვენს ტაქტიკაზე დაწვრილებით უნდა ვიმსჯელოთ. მედგარი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ ყველა მათ, ვისაც ჩვენს ჯგუფებში შემოაქვს შფოთი და ამბოხება. ყველა ჩვენს ამხანაგებს უნდა ვაუწყოთ საბჭოთა რუსეთის შინაგან და გარეშე მდგომარეობის შესახებ. ჩვენი კონგრესი გარშემორტყმულია ბურჟუაზიის სიძულვარით. პოლონეთის პრესა სიხარულით აღნიშნავს, რომ კონგრესზე დელეგატების მეტად მცირე რიცხვი შეგროვდა. ნამდვილად კი ჩვენ ამ დარბაზში ვხედავთ ათასზე მეტ დელეგატს მთელი ქვეყნის 48 მხრიდან. ჩვენ ვმუშავებთ გარს შემორტყმულნი მთელი ქვეყნის პროლეტარების სიყვარულით, მათი ზრუნველობით და დახმარებით“ ქვევით ამხ. ზინოვიევი სავალდებულოთ სთვლის მიესალმოს შორეულ და ახლობელ აღმოსავლეთის დელეგატებს: არას დროს არ ყოფილა ამდენი წარმომადგენელი აღმოსავლეთის ქვეყნებისა, როგორც ამ ყრილობაზე. აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის შემდეგ ჩვენი გავლენა გაძლიერდა აზიის ხალხთა შორის. შემდეგ ამხ. ზინოვიევი განსაკუთრებით მხურვალეთ ესალმება მთელი ქვეყნის კონგრესის კომუნისტურ ახალგაზრდათა დელეგატებს. თავის სიტყვას ამხ. ზინოვიევი ათავებს. გაისმის მქუხარე ტაში და გამოძახილები საქვეყნო რევოლიუციისა და კომინტერნის პატივსაცემათ. კონგრესის პრეზიდიუმში ერთხმად ირჩევენ: თავმჯდომარეთ ამხ. ზინოვიევს, თავმჯდომარის ამხანაგათ ამხ. ლორიოს (საფრანგეთი), კენზს (გერმანია), ჯენარს (იტალია) და კოლაროვს (ბოლგარეთი). ამხ. ფრეილიხი იძლევა წინადადებას ამოირჩიონ პრეზიდიუმის საპატიო წევრებათ ამხ. ლენინი და ტროცკი. ამხ. რადეკი წინადადებას იძლევა ამოირჩიონ პრეზიდიუმის საპატიო წევრებათ ამხ. მუნე (ჩეხო სლოვაკია), ვრანდლერი (გერმანია) და ინკპინი (ინგლისი), რომლებიც ამ ჟამათ ციხეში იმყოფებიან. ყველა ეს წინადადებანი მიღებული იქნა.

მისალმება მოსკოვის მუშებისაგან.

ამხ. კამენევი იწყებს თავის მისალმებას და აღნიშნავს—ალბათ ისტორიას სურდა, რომ მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ კომუნისტური ძალების კონგრესი შეკრებულიყო დესპოტიის ყოფილ სატახტო ქალაქში, სადაც ასეული წლობით მეფობდა დესპოტია და რომელშიც ახლა მეოთხე წელიწადია, რაც დღესასწაულობს თავის ხელისუფლებას რუსეთის პროლეტარიატი. მუშათა კლასმა თავი მოუყარა 135 მილიონ მუშას ჩაქუჩის და ნამგლის დროშის ქვეშ. „ჩვენ შევსცვალეთ, სთქვა ამხ. კამენევმა ფრონტებზე გამარჯვების შემდეგ თოფი ჩაქუჩით და ჩვენ დავამტკიცებთ, რომ საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასს შეუძლია სათანადო დონეზე დააყენოს თავისი მეურნეობა. ამ სამეურნეო აღმშენებლობითი მუშაობის დროს მოგვისწრო მესამე კონგრესმა. მაშ გაუმარჯოს ჩვენ ძვირფას სტუმრებს“.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიისაგან.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სახელით მიესალმენ წითელ ლაშქარს ვალიანი და კუტიური. ფრანგ ამხანაგები, რომლებმაც იმპერიალისტური ომის დროს, შეისწავლეს იარაღის ხმარება, ახლაც მზათ არიან შეუერთდნენ მსოფლიო რევოლიუციის ლაშქარს. როდესაც იფეთქებს საფრანგეთში რევოლიუცია მას მრისხანე გამოძახილზე საშველად გაეშურება რუსეთის წითელი ლაშქარი.

გერმანიის კომუნისტებისაგან.

გერმანიის მცხოვანი კომუნისტი, ციმერვალდის მოძრაობის მონაწილე ფრეილიხი ესალმება საბჭოთა რუსეთს, როგორც რევოლიუციის ციხე სიმაგრეს და საბჭოთა წითელ ლაშქარს როგორც რევოლიუციის მძლე მახვილს. გერმანიის კომუნიზმი მოელის ამ კონგრესიდან რომ იქნება გაგრძელებული მეორე კონგრესის ხაზი. გერმანიის კომუნიზმმა შესძლო მოეშორებია მემარჯვენე ფრთა, რომელიც ამის შემდეგ მიეხრო მუშათა კლასის გამცემელთა ბანაკს. გერმანიის კომუნისტური პარტია მზათაა იბრძოლოს უკანასკნელ გამარჯვებამდის. რამდენით არ უნდა გაავრცელონ სოციალისტებმა საგანგებო სასამართლოები, გერმანიის პროლეტარიატი თანდათანობით თვალს ახელს და იგი მედროთ ერთდება კომუნისტურ დროშის ქვეშ.

იტალიელ კომუნისტებისაგან.

ესალმება რა ამხ. ჯენარი კონგრესს იტალიელ კომუნისტების სახელით, იგი გაიხსენებს, რომ შარშან აქ იმყოფებოდნენ იტალიელი სოციალისტები, სერატის მეთაურობით. სერრატი ახლა აქ არ არის: იგი რევოლიუციისა და მე 3 ინტერნაციონალის მოღალატეა. იტალიის პროლეტარიატი მას ზიზღს უცხადებს და თავის მებრძოლთა რიცხვიდან სდევნის. მაგრამ იტალიის მშრომელთა შორის არიან ისეთი ელემენტებიც, რომელთაც მე 3 კონგრესის ავტორიტეტული ხელმძღვანელობა სჭირდებათ. კონგრესმა მათ დახმარება უნდა გაუწიოს, რომ ისინი არსებულ მდგომარეობაში გამოერკვენ და უნდა აიძულოს ისინი, რათა მათ შეასრულონ თავისი მოვალეობა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინაშე.

საფრანგეთის პროფკავშირთა საბჭოსაგან

საფრანგეთის პროფკავშირთა საბჭოს მდივანი თომასი ამბობს, საფრანგეთმა პროფ-მოძრაობის უკანასკნელი დღეები ძალიან უნაყოფო იყო. მაგრამ დღეს ფრანგი მუშები საბოლოოდ დარწმუნდენ რომ ბურჟუაზიის ყელში უნდა სწვდეს ისინი და დარწმუნდნენ რომ არავითარ შეთანხმება იმათთან ვინც მათ უღერებს დაქირავებულ მკვლელთა რევოლვერებს შეუძლებელია. ისინი უკვე განთავისუფლდნენ დემოკრატიულ ბოდვისაგან და უკან მისდევენ მოსკოვს, რუს მუშებს.

ბულგარეთის კომპარტიისაგან

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე კოლაროვი, რომელიც შეკრებილნი მხურვალედ შეხვდნენ, ამბობს მათ თუ პროლეტარიატის კომუნისტურ მოძრაობას როგორ

დღეს ნომერში:

უცხოეთის ბაზარზე, განსაკუთრებით სტამბოლსა და იტალიაში დამზადებული საქონელი ძალიან ბევრია და იაფი მოთხოვნილება კი მეტად მცირე. ამ ნიადაგზე ჩერდება წარმოება, იზრდება უმუშევრობა და მუშათა მღელვარება. იტალიას გადაწყვეტილი აქვს ამიერ-კავკასიასა და რუსეთთან მოაწყოს ფართო სავაჭრო ურთიერთობა.

ბათომში ჩამოვიდა ვრანგელელების დიდი პარტია—სამი ათას კაცზე მეტი; რომელიც იგზავნება სამუშაოდ ბაქოში.

გერმანიაში იფეთქა რევოლიუციონურმა მოძრაობამ ქალ. მანჰეიმში მუშებმა მოახდინეს საერთო გაფიცვა. შეჩერებულია წყალსადენის, ელექტრონის, ტრამვაის და სხვა წარმოებათა მუშაობა.

სლევნის ბურჟუაზიულ მებატონეთა მთავრობა, რომელიც არ ერიდება არავითარი ზომებს. იმისდა მიუხედავათ, რომ ბულგარეთი თავის თავად კულტურულ-ეკონომიურის მხრივ ჩამორჩენილია, იქ მაინც მუშათა კლასი ძლიერდება და არსდება კომუნისტური პარტიები. მთელს ბულგარეთში ბრძოლა სწარმოებს, კაცობრიობის სოციალურად სრული განთავისუფლებისათვის. კომუნისტური მოძრაობა კაცობრიობისა და პროგრესის ერთად ერთი ბერკეტია.

ინგლისის სამთამადნო მუშებისაგან.

ინგლისის სამთამადნო მუშები თავისი დელეგატის პირით გვითვლიან მხურვალე მადლობას მათთვის გაწეულ დახმარებისათვის. ინგლისურ მემაღაროეთა ბრძოლა აუწერელ მძიმე პირობებში სწარმოებს, მაგრამ ისინი მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ბრძოლა სრულის გამარჯვებით დამთავრდება.

იაპონიის დელეგატის სიტყვა.

დიდის ყურადღებით მოისმინა კონგრესმა იაპონიის დელეგატ. ამხ. ტოკუბის მოხსენება. დღევანდელი იაპონია აწარმოებს მძარცველ პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში. ამის და მიუხედავათ მუშები ამ გახრწნილ პოლიტიკიდან ნელ ნელა თავისუფლდებიან და გადამწყვეტ ბრძოლისათვის ემზადებიან ამას საგრძნობლად ხელს უწყობს იაპონიაში არსებული მრეწველობის კრიზისი. იაპონელი კომუნისტები იბრძოდნენ და იბრძვიან კოლონიალურ იმპერიალისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ და ბრძოლაში დიდად ეხმარებიან მათ მუშათა მასები.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალიდან.

ახალგაზრდათა ინტერნაციონალის წარმომადგენელი მონტენიანო 800 ათასი წევრის სახელით ესალმება კონგრესს. ახალგაზრდობამ დაამტკიცა, რომ მას მხოლოდ ბრძოლა კი არა, პოლიტიკურად აზროვნებაც შეუძლიათ. ყოველ ქვეყანაში იგი იბრძვის რეფორმიზმის წინააღმდეგ და კომუნისტურ პარტიის ორგანიზაციას ხელს უწყობს. ამ დღეებში ახალგაზრდათა კონგრესი მოსკოვში განიხილავს თავის როლს, საერთო რევოლიუციონურ მოძრაობაში, ინტერნალის მუსიკით და ოვაციებით კონგრესის პირველი საზეიმო სხდომა იხურება.

საბჭოთა საქართველო

საქონლის გაცვლა.

ბათომი, 13 ივნისი. (დეპ.) ბათომში ოსმალეთიდან და ყირიმიდან მოვიდა 4 მოტორიან იალქნიანი გემი დატვირთული მაკარონით, წუმწუმით, მანუფაქტურით, მარილით და სხვა საქონელით.

ხომალდების ჩაშვება.

ფოთი. წყალშივე ხელ ახლა შეაკეთეს ხომალდი „ქუთაისი“, რომელსაც ეწოდა „ელიოზა ჯაფარიძე“. ამოიღეს და შეაკეთეს მენშევიკებისაგან ჩაძირული ხომალდები „ეკატერინა“ და „სვეხი“. პირველს ეწოდა „მესამე კომინტერნის კონგრესი“, მეორეს „საშა წულუკიძე“. „მესამე კომინტერნით კონგრესი ზიდავს 5000 ფუთს ტვირთს, საათში გაივლის 8 მილს. ყველა ეს ხომალდები მორთულია დროშებით. ჩასაშვებ ადგილზე გამოცხადდნენ: პარტსკოლის გამგის მეთაურობით პარტიული სკოლა, რკინის გზელები მეზღვაურები და სხვა ორგანიზაციები. გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა რაიონულ პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გაპესქერიამ, ის მიესალმა მეზღვაურებსა და მუშათა თავისუფალ შრომას. საქართველოს რევკომის წარმომადგენელმა ამხ. ლამბაროვმა თავის სიტყვაში აღნიშნა მესამე კომინტერნის კონგრესის მოსკოვში გახსნის დიადი მსოფლიო მნიშვნელობა; შეეხო ის მენშევიკების შემთანხმებელ პოლიტიკასაც. ილაპარაკეს ადგილობრივ რევკომის თავმჯდომარე გოგიამ, საზღვაო უფროსმა ბოგოლეპოვმა და სხვებმა. მიტინგის დასასრულ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ, ქ. ფოთის მუშები, შეკრებილნი მესამე კომინტერნის კონგრესის გახსნის საპატივცემოთ, აღფრთოვანებულნი ვართ იმ შეგნებით, რომ პროლეტარიატის სხივმა, რომელიც საერთაშორისო პროლეტარიატს გზას უნათებს დიად საუკეთესო მიზნისკენ, მოაღწია ჩვენამდე. წინეთ ვიმყოფებოდით მსოფლიო მტაცებლების, ჰერიკანოვისა და სიცრუის ზეგავლენის ქვეშ, დღეს ამისგან განთავისუფლდით და დავუახლოვდით ნამდვილს ჩვენს მოკავშირე საერთაშორისო პროლეტარიატს. მივესალმებით პროლეტარიატის მოწინავე ავანგარდის წარმომადგენლებს, რომელთაც ეხლა თავი მოიყარეს წითელ მოსკოვში გამოსამუშავებლათ თავდაცვიდან შეტევაზე გადასვლის გეგმისა, კაპიტალიზმის ციხე სიმაგრის დასანგრევათ. როცა ეს დიადი მომენტი დადგება და დარეკავს ჟამი საერთო შეტევისა, მრისხანე შრომის ლაშქართა შორის საქართველოს პროლეტარიატი დაიჭერს ერთ მოწინავე ადგილს. ნიშნად ამისა ეხლახან ზღვის უფსკრულიდან ამოღებულ და შეკეთებულ ხომალდებს, რომლებსაც დღეს ჩავუშვებთ წყალში მოძრაობის დასაწყებათ, ვარქმევთ ახალ სახელს. ერთერთს „ეკატერინას“ ვუწოდეთ „კომინტერნის მესამე კონგრესი“, ვიგონებთ რა იმ დიად მსხვერპლთ, რომლებიც ამ იდეას შეეწირა, მეორე ხომალდს „ქუთაისს“ ვუწოდეთ ახალი სახელი „ელიოზა ჯაფარიძე“ ხოლო მესამე—„უპეხს“ ეწოდა „საშა წულუკიძე“. ვაცნობთ რა ყოველივე ამას ჩვენს უმაღლეს ორგანოს—საქართველოს რევკომს, ვთხოვთ ამის დასტურს. გაუმარჯოს მთელ ქვეყნის პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლიუციონურ სოლიდარობას. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს და მის კონგრესს. გაუმარჯოს დიადსა და სახელოვან ბელადთ ლენინს, ზინოვიევს, ტროცკის და სხვებს.

ხომალდების ჩაშვების დროს იმღერეს ინტერნაციონალი, სამხედრო მეზღვაურთა რაზმი თოფების სროლით მიესალმა ამ მომენტს, ზღვიდან კი ამ ხომალდების ჩაშვებას ზარბაზნების გასროლით შეხვდა კატერი—„თავრიდა“. ამ ზეიმს დაესწრო აფხაზეთის წარმომადგენელი ამხ. კარტოზია.

მიტინგები კომინტერნის საპატივსაცემლოდ გამართული.

ივნისის 20 ბორჯომში კურსალის შენობაში გაიმართა მიტინგი-კონცერტი, წაკითხულ იქნა მოხსენებები კომინტერნის მე-3 კონგრესის მნიშვნელობაზე, რომლებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მრავალრიცხოვან მსმენელებზე. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მილოცვას უგზავნის კომინტერნის მესამე კონგრესს. საკონცერტო განყოფილებამ, თბილისიდან ჩამოსულ მსახიობთა მონაწილეობით ჩინებულათ ჩაიარა. მსახიობებმა შეასრულეს მე-3 კომინტერნისათვის მიმართული ნაწარმოებნი.

ივნისის 21 მუშათა კლუბში გაიმართა მეორე მიტინგი-კონცერტი, რომელსაც დაესწრო ბევრი მუშა და წითელი არმიელებიც, დამსწრეთ მოითხოვეს ამგვარი კონცერტების ხშირი გამართვა. ორივე შენობა მორთული იყო დროშებით და მსოფლიო რევოლიუციის წინ მძღოლთა სურათებით, აგრეთვე ახალი პლაკატებით და მიმდინარე მომენტის ხასიათის სურათებით.

აფხაზეთი.

ხოხუმი. 21 ივნისი. (დეპეშით). 19 ივნისს კომინტერნის მესამე კონგრესის საპატივცემლოთ უნდა გამართულიყო დიდი დღესასწაული, მაგრამ ავდარმა შეუშალა ხელი მანიფესტაციის გამართვას. საღამოს თეატრებში და ცირკში გაიმართა საზეიმო კონცერტ-მიტინგები. გამოვიდნენ რევკომის და კომპარტიის წარმომადგენლები. პირველ თეატრში წაიკითხეს ცოცხალი გაზეთი კომინტერნის კონგრესის შესახებ.

— რადგანაც ადგილობრივ დავა იმართება ხოლმე მიწის შესახებ, კომისარიატის მთელი შტატი დაუყონებლივ მიემგზავრება ოლქში. იმის გარდა, რომ ადგილობრივ გაიცნოს საქმის ნამდვილ ვითარებას, ამ გამგზავრებას მიზნად აქვს ხელი შეუწყოს ხილის მოგროვების და გახმობის წინაწარ მუშაობის ორგანიზაციას.

— სოხუმში დაიკეტა მოკლე ვადიანი სამასწავლებლო კურსები. კურსების დახურვის დღეს მთელი კურსანტები ინტერნაციონალის მღერით წითელი დროშებით გაემართნენ პირველ სახელმწიფო თეატრში, სადაც რევკომის თავმჯდომარე ეშბამ წარმოსთქვა სიტყვა სამასწავლებლო კურსების მნიშვნელობის შესახებ. ორატორმა აღნიშნა კომინტერნის კონგრესის მნიშვნელობა. სიტყვის დამთავრების შემდეგ, მასწავლებლებმა დაადგინეს გაუგზავნონ კონგრესს მისასალმებელი დეპეშა.

— გუმისტის მაზრაში მოსულ წვიმების წყალობით მოსავალს კარგი პირი უჩანს. მოსავალი მოსალოდნელია საშუალოზე კარგი. ნათესის 25 პროც. ხორბალია. სიმინდი ამ წელს 25 პროც. მეტი არაა დათესილი. გუმისტის რევკომმა მიიღო საქონლის გადასაცვლელად—ბლომა მანუფაქტურა, ძაფი, ტყავი, ასანთი და სხვა. საქონელი, რომელთა ნაწილიც უკვე დაეგზავნა სოფლებში. მესაქონლეობის დახმარების მიზნით დაიწყეს მარილის ყველში გაცვლა.

საბჭოთა რუსეთში

გრუზკავროსტას დეპეშები.

გროზნოს ნავთის წარმოება.

როსტოვი. მაისის განმავლობაში გროზნოს ნავთის წარმოებაში 25 ახალი ჭა აამუშავეს, რომელსაც შეუძლია ძლიერ შესამჩნევად გაადიდოს ნავთის ამოღება. ახალი და ძველი ჭების სავსებით გამოსაყენებლად საჭიროა დახელოვნებული მუშები, უმთავრესად ზეინკლები და მჭედლები.

ასმოლოვის ფაბრიკა.

როსტოვი. ამუშავდა ასმოლოვის თამბაქოს ქარხანა, რომელიც დახურული იყო, მუშაობს შეუდგა 3083 მუშა.

დიდი ჯილდო.

როსტოვი. სამხრეთ აღმოსავლეთის ჯილდოების ბიუროს პრეზიდიუმმა გაიღო ჯილდოს სახით 100,000 მან. ყუბან—შავიზღვის პოლიგრაფიული განყოფილების გამგე მუშა კაფანოვისათვის, უდიდესი შრომის უნარისა და ენერგიისათვის.

საზღვარ გარეთ

გრუზკავროსტას დეპეშები.

იტალიის ამბები.

ბათომი. 23 ივნისი. (დეპეშა). იტალიის პრესა იუწყება, რომ ფაშისტები განაგრძობენ უწესოებას. ფაშისტები ნეაპოლის ახლოს თავს დაესხნენ ახალს დეპუტატს სოციალისტობისათვის, რომელიც დასჭრეს ორის ტყვიით. მანტუნის რაიონში ფაშისტების ჯგუფმა მოაწყო დამსჯელი ექსპედიცია. მოაწყვეს ჩვეულებრივი დარბევა სოციალისტურ ორგანიზაციებისა. ხელის-უფლები განზრახ იჩენდნენ უმოქმედობას.

ოსმალეთის საფრთხე.

ბათომი. 23 ივნისი, (დეპეშა). ლონდონის გაზეთები სერიოზულად მსჯელობენ იმ ფაქტის შესახებ, რომელიც შეეხება ქემალისტების მტრულ განწყობილებას ინგლისელებსა და ფრანგების წინააღმდეგ. გაზ. „დეილ მეილი“ გადაჭრით ამბობს: ლონდონიდან მთავრობა ანგორას მალე მოსთხოვს სრულს ანგარიშებს.

საფრანგეთის რკინის გზები.

მოსკოვი 5 ივნისი. ოფიციალურ ცნობებით საფრანგეთის რკინის გზების დეფიციტი გამოიხატება შემდეგ ციფრებში, ჩრდილოეთის გზაზე—528,000,000 ფრანკი, აღმოსავლეთის 285,000,000 ფრანკი, ორლეანის—526,0000,000 ფრანკი, სამხრეთის—170,000,000 ფრან. და სახელმწიფო გზაზე 727,000,000 სულ—2,000,000,000 ფრანკი.

ინგლისი და ანგორა.

ბათომი. 23 ივნისი, (დეპეშა). სტამბოლში გამოსული ფრანგული გაზეთები იუწყებიან, რომ ინგლისის მთავრობა მომხრე ხდება ანგორასთან დამოკიდებულების გადასინჯვის და მზადაა შეიწყვიტოს ნეიტრალიტეტის პოზიცია საბერძნეთ-ოსმალეთის ომში. მოსალოდნელია საბერძნეთ—ინგლისის ბლოკადის შეწყვეტა. ლონდონიდან გაზეთები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ანგორის მიერ ტყვეთ წაყვანილი ინგლისელების შესახებ დადებული ხელშეკრულება ირღვევა. გაზეთები აღნიშნავენ მახლობელი აღმოსავლეთის საკითხის გადასინჯვის საჭიროებას.

უცხოეთის ბაზრების მდგომარეობა.

ბათომი. 23 ივნისი (ტელეგ.) სტამბოლიდან დაბრუნებული იტალიური აქციონერო საზოგადოების [illegible] შემდეგ ცნობებს იუწყება საზღვარგარეთის ბაზრების მდგომარეობის [illegible]

— კონსტანტინოპოლში მდგომარეობა მეტის მეტად მწვავეა. საქონელი ბევრია და გასავალი არა აქვს იტალიის ბაზარი ძალზე გაჭედილია საქონლითა და ნედლი მასალით, რომლებიც სჭირია რუსეთს. იტალიის ვაჭრობა და წარმოება თითქმის გაჩერდა, რადგან მოთხოვნილება არაა. დამზადებულია ზედმეტი საქონელი. მოთხოვნილება იტალიის საქონელზე საზღვარ გარეთ მეზობელ სახელმწიფოებში თითქმის არაა. საზოგადოებრივი აზრი ასეთია: აუცილებლად საჭიროა დაიწყოს ენერგიული და ფართო ვაჭრობა რუსეთთან და ამიერ-კავკასიის საშუალებით სპარსეთთან. ზედმეტ წარმოების ნიადაგზე ვითარდება უმუშევრობა, რომელიც იწვევს ღელვებას მუშათა შორის. საქონლის ფასები იტალიაში დაუჯერებლად დაბალია, თვით ომის წინა დროის ფასებზე. ამავე დროს ქვეყანას სჭირია რუსეთის ნედლი მასალა, ურომლისოდაც ფაბრიკები გაჩერებული არის.

იტალიის ფირმების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ზევით აღნიშნულ მოვლენათა გამო იტალიის ფირმები, მათ რიცხვებში „სავა“ და სხ. ამიერკავკასიაში ხელახლად ხსნიან თავის საწყობებს და სააგენტოებს და ამიერკავკასიის ბაზარზე მოიტანენ ყოველგვარ საქონელს განუსაზღვრელი რაოდენობით, თუ ადგილობრივი საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ანგარიშს გაუწევს საზღვარ გარეთში არსებულ საბაზრო ფასებს.

ვრანგელელთა ტრანსპორტი

ბათომი. 23 ივნ. (დეპ.). ივნისის 21-ს ბათომის ნავთსადგურში მოვიდა ოსმალეთის გემი „რეშიდ-ფაშა“, რომელმაც ჩამოიყვანა ყოფილ ვრანგელთა მეორე პარტია, რიცხვით 3,127 კაცი. შავრაზმელების მიერ მოტყუებულნი და განაწამებნი ბათომში დახვდნენ ორკესტრით და ხელგაშლით, ბათომში გაიმართა მიტინგი. ორატორებმა გამოააშკარავეს სიცრუე, რომლითაც შავრაზმელთა მეთაურები საზღვარ გარეთ ატყუებდნენ უბედურ ჯარის კაცებს. ორატორები ამტკიცებდნენ, რომ ჩამოსულებმა ბეჯითი შრომით უნდა მოიპოვონ თავის ხალხის ნდობა. ორატორებმა ჩამოსულებს უამბეს თუ რუსეთის მუშებმა და გლეხებმა როგორი დაბრკოლება გადალახეს. ორატორებმა თავისი სიტყვები დაათავეს მისალმებით ჩამოსულთა მიმართ. მიულოცეს თეთრ პოგონებისაგან განთავისუფლება და პროლეტარულ წრეებში დაბრუნება. ორატორთა სიტყვები დაიფარა ტაშით „ურა“-ს ძახილით და ინტერნაციონალის სიმღერით, ჩამოსულებს ჰგზავნიან სამუშაოდ ბაქოს ნავთის სამრეწველოებში, სადაც უკვე მუშაობს ყოფილ ვრანგელთა პირველი პარტია.

გერმანიის სოციალ-გამცემლების დემოკრატიზმი.

მოსკოვი. 23 ივნისი. პრუსიაში გამოქვეყნებულია განკარგულება, სადაც კომუნისტებს ნება არ ეძლევათ დაიკავონ ბურგომისტრისა და დეპუტატების ადგილები.

რევოლიუციონური მოძრაობა გერმანიაში.

მოსკოვი. 33 ივნისი. (რადიო). მანჰეიმში მუშებმა მოაწყვეს საპროტესტო

საქართვ. წარმ. პროფკავშირების კონფერენცია.

ივნისის 16, საღამოს სხდომა.

ამხ. ერქომაიშვილის მოხსენება სასურსათო პოლიტიკის შესახებ.

სასურსათო პოლიტიკა მჭიდროთ არის დაკავშირებული იმ ეკონომიურ პოლიტიკასთან, რომელიც ტარდება საქართველოში. ეკონომიურ პოლიტიკის მთავარი თეზისებია: მსხვილ მრეწველობათა განსაზოგადოებრივება და მსხვილი ვაჭრობის მოსპობა (ბითუმათ), წვრილი ვაჭრობისა და წვრილი საკუთრების დატოვებით. ეს გვაიძულებს ჩვენ დავამყაროთ სოფელთან ნებაყოფლობითი საქონლის გაცვლა-გამოცვლა. პირველ ხანაში შესაძლებელი იყო გაეშვა გადასაცვლელათ 30 პროც. ღირებულებისა, ეხლა უნდა 50 პროც. და მომავალში ფულის ფასის დაცემის გამო ნამდვილათ მოგვიხდება 100 ზე 100-ის გაცვლა. თუ რუსეთში მსხვილი სამრეწველო ცენტრების არსებობის დროს არის შესაძლებლობა მისცეს 1/3, მაშინ საქართველოში მდგომარეობა უფრო ცუდია, რადგანაც მრეწველობა არ არის საკმარისი და ფაბრიკატების მარაგიც არ არის. ბურჟუაზიული ელემენტები მენშევიკების დროს სპეკულიაციით მეცადინეობდენ. ეხლა კი ჩვენ თვალები არა გვაქვს დახუჭული, სპეკულიაციის გზას დაადგებიან წვრილი ვაჭრებიც, მაგრამ გვაქვს რა მხედველობაში ის გარემოება, რომ წინათ ეს ვაჭრები ღებულობდენ საქონელს ბითუმათ მოვაჭრეთაგან, რომლებიც ეხლა აღარ არიან, და მთელი ვაჭრობა საზღვარ-გარეთთან საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ხელშია, რომელიც რასაკვირველია, გამოჰყოფს [illegible] წვრილ ვაჭრობას, ამ უკანასკნელებმა უნდა [illegible] საქონელი შინაურ ბაზარზე, რომელიც ჩვენთვის უკვე აღარ არის საშიში, რადგანაც რაც უნდა იყოს კონკურენციის მხრივ ჩვენ უცხოეთ [illegible] პირობებში ვართ მათთან შედარებით, რაც შეეხება უცხოეთთან ვაჭრობას, იგი აწარმოებს იმ ნედლის და სავალიუტო საქონლის ანგარიშით, რომელიც ჩვენა გვაქვს. ჩვენ გვაქვს შემდეგი მარაგი უცხოეთში გასატანათ: მარგანეცი 50 მილიონ ფუთამდე, მატყლი, აბრეშუმი, ხატყე, თამბაქო, ღვინო და სხვა. მაგრამ ამ საქონლის გაცვლის მდგომარეობა შემდეგნაირია: თუმცა კონსტანტინოპოლის ბაზარზე ფასები დაეცა, კაპიტალისტები ითვალისწინებენ რა ჩვენ მდგომარეობას, სულ დასცენ უფრო ჩვენი საქონლის ფასი და თავს იკავებენ საქმიანობისაგან, ამის გამო ჩვენ გავედით საქართველოს საზღვრებიდან ჩრდილო კავკასიაში, სადაც ვაწარმოებთ სიმინდის დამზადებას 150 ათას ფუთამდე. რუსეთიც არ გვეტყვის უარს დახმარებაზე. რაც შეეხება საორგანიზაციო აღმშენებლობას, პირველ ხანებში იყო მოწყობილი სამაზრო სასურსათო კომიტეტები. ეხლა ჩვენ მათ მოვუსპეთ დამზადების წარმოების უფლება, რადგანაც მათ გამოიჩინეს ადგილობრივი ნაციონალიზმი. ადგილობრივ დამზადების საქმეში ჩვენ ვემყარებით კოოპერატივთა გაერთიანებებზე იმ პირობით, თუ ისინი სისწორით შეასრულებენ მათზე დანავალებს. ახლა ჩვენგან მიღებულია ზომები გაერთიანებულ მუშათა კოოპერატივის განხორციელებლათ, რომლებმაც უნდა აიღოს თავის თავზე სახელმწიფოს განმანაწილებელ ორგანოს ფუნქციები. რასაკვირველია, მუშათა კოოპერატივი ვერ გაჰყვება არსებულ კოოპერატივთა პოლიტიკას ბაზრის საშუალო ფასის გამორკვევისა და მოცდის შესახებ, რაც არ არის სწორი, რადგანაც ეხლა ფასები არ არსებობს. ეხლა გადავდივარ სასურსათო თეზისებზე.

სასურსათო თეზისები.

1. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მეტად მძიმე ეკონომიურ და სასურსათო კატასტროფის მდგომარეობაში; ქართულ ბონებს, რომელთა კურსიც დიდის სისწრაფით ეცემოდა, თებერვლის დამლევს სრულიათ აღარ ჰქონდა ფასი; რესპუბლიკის საწარმოო ძალები აგრეთვე ეცემოდა და მრეწველობა ვაჭრობაში გამეფებული იყო სპეკულიაცია კერძო კაპიტალისტურ წყობილობისათვის დამახასიათებელ ეკონომიურ ანარქიით.

2) საერთო ეკონომიურ ნგრევის მიერ შექმნილ მიზეზების გარდა, საქართველოს სასურსათო საქმის კატასტროფიული მდგომარეობა აიხსნება სხვა მიზეზებით:

ა) სურსათის საერთო მოთხოვნილების, სურსათის წარმოებაზე გადაჭარბებით და ამის გამო პურის უცხოეთიდან შემოტანის აუცილებლობით.

ბ) გაზაფხულის დროით, როდესაც წარსული წლის მოსავალი უკვე გათავებულია; ამ ხანაში საქართველო ყოველთვის განიცდიდა ახალ მოსავლამდე პურის მწვავე დანაკლისს.

ვ) მენშევიკების მიერ სასურსათო მარაგის წაღებით.

გ) დასავლეთ ევროპასთან დამოკიდებულების შეწყვეტით;

დ) მენშევიკების საბჭოთა საწინააღმდეგო პროპაგანდით, რომელმაც გამოიწვია ზოგიერთ სოფლებში მისწრაფება სურსათის გაუშვებლობის შესახებ.

3) თავის პურით საქართველოს არ შეუძლიან თავის თავის გამოკვება. მას მუდამ სჭირდებოდა და ეხლაც სჭირდება მოტანილი პური. ომამდე საქართველოში ყოველ წელს შემოჰქონდათ რკინის გზით და ზღვით ფოთზე 4 მილიონამდე ფუთი ხორბალი; ამას გარდა ხორბალი შემოჰქონდათ აგრეთვე ურმებითაც ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს და ოსეთის სამხედრო გზებით; ამნაირათ, თვით ნორმალურ ეკონომიურ პირობებშიაც საქართველო იძულებული იყო ეძებნა პური თავის ფარგლებს გარეთ.

4. თავის სასურსათო პოლიტიკას სასურსათო სახალხო კომისარიატი აშენებს იმავე საფუძველზე, რომლებზედაც შენდება საბჭოთა საქართველოს ეკონომიური პოლიტიკა; მის ერთ-ერთ ძირითად მომენტს წარმოადგენს წვრილ ვაჭრობის დატოვება. რადგან სასურსათო სახალხო კომისარიატს ფიზიკურათ არ შეუძლიან რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის და პროლეტარიატის მომარაგება, ამიტომ წვრილ ვაჭრობის აკრძალვა ან შევიწროვება გამოიწვევს მხოლოთ ცხოვრების გაძვირებას და მოუსპობს მუშას ყოველ შესაძლებლობას შეიძინოს თავისუფალ ბაზარზე თავისი ულუფა; მეორე ძირითად მომენტს წარმოადგენს მწარმოებელთა მიერ ზედმეტ სასოფლო სამეურნეო ნაწარმოების თავისუფალი გაცვლა (გარდა ნატურალურ გადასახადისა) და მორიდება იძულებით ღონისძიებისა გლეხობის მიმართ.

5. სასურსათო სახალხო კომისარიატი აპირობს სასურსათო გადასახადის შემოღებას, მაგრამ გარდა იმისა, რომ მისი მოკრეფა გავლენას მოახდენს მხოლოდ ახალ მოსავლის შემდეგ, ეხლა ძლიერ ძნელია იმის თქმა, თუ რამდენათ დაჰფარავს იგი პურის მოთხოვნილებას; ცუდი მოსავალი და სასურსათო გადასახადის გატარების სიძნელე საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სასურსათო გადასახადი მოგვცემს საჭირო პურის რაოდენობის მეტად მცირე ნაწილს (არა უმეტეს 20 პროც.).

6. პურის საჭირო რაოდენობის გამოტანა სოფლებიდან შეუძლებელი იქნება ეხლაც და ახალ მოსავლის შემდეგაც; შარშანდელი და წლევანდელ გაზაფხულის გვალვა და აგრეთვე მთელ რიგ ადგილებში ყანების დაუთესაობა არ გვაძლევს იმედს კარგი მოსავლისას; ის ზედმეტი პური კი, რომლის მოცემაც [illegible] შეუძლიან სოფელს, შეიძლება მივიღოთ ან საქონლის გაცვლით, ან საქონელში გაცვლით და ფულათ ერთად; დამზადება ფულის ნიშნებით არ მოხერხდება, რადგან მათ ფასი დაეკარგათ.

7. მოსახმარებელი საქონელი და პროდუქტები, რომელიც შეიძლება გაიგზავნოს სოფელში პურზე გასაცვლელათ მანუფაქტურა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მარილი, ნავთი, საპონი და სხვა—საქართველოში არ მუშავდება და არ კეთდება, მათი მარაგი, რომელიც საქართველოში იყო, მომეტებულ ნაწილათ მენშევიკებმა გაიტანეს საზღვარგარედ და საქონლის ფონდი საქართველოს ს. ს. რესპუბლიკას არა აქვს; გადასაცვლელად საჭირო პროდუქტების ნაწილი—ნავთი, მარილი—შეუძლიანთ და უნდა მოგვცენ კიდეც საბჭოთა სხვა რესპუბლიკებმა, ხოლო დანარჩენი საქონელი, რომელიც მათ იმდენი არა აქვთ, რომ ჩვენც მოგვაწოდონ, უნდა დავამზადოთ საზღვარ გარეთ.

8. პროფკავშირებმა უნდა იკისრონ მოვალეობა სასწრაფოთ შექმნან მინიმუმი მაინც საქონლის ფონდისა სასურსათო პროდუქტებზე გადასაცვლელათ; დამმუშავებელ მრეწველობის ნაყოფიერების შემცირება, რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობის საერთო დასუსტების გარდა, საქონლის ფონდსაც [illegible] საბოლოო გამოლევამდე; ხოლო იმავე დონეზე დარჩენა აგრეთვე არ უშველის საქმეს, რადგან დამმუშავებელი მრეწველობა საქართველოში სუსტათაა განვითარებული და მისი ნაწარმოები საგრძნობლათ ვერ შეავსებს საქონლის ფონდს; ამიტომ პროფწარმოებითი კავშირებმა უნდა განავითარონ ენერგიული მოქმედება მრეწველობის გასაძლიერებლათ; პირველ რიგში, ტრანსპორტის შემდეგ წარმოებათ პროგრამაში უნდა [illegible] იქმნას: საკვებ სურსათის

დემონსტრაცია ბავარიის დეპუტატის გარისის მკვლელობის გამო. დემონსტრაციამ გაიარა კომუნისტურ ლოზუნგებით (დამახინჯებულია)... საერთო გაფიცვა: წარმოებანი შეჩერებულია, გაზეთები არ გამოდის, ელექტრონის სადგური და წყალსადენი არ მოქმედობს. ტრამვაი შეჩერებულია. ნიურენბურგში გაიფიცნენ რკინის გზელები.

კვლავ ფაშისტები.

ნაუენი, 23 ივნისი (რადიო). იტალიის დეპუტატთა პალატაში სერიოზული შეჯახება მოხდა ფაშისტებსა და სოციალისტთა შორის ტიროლის საკითხის შესახებ.

საზოგადოებრივ მუშაობის სოციალისტმა-მინისტრმა ლაბრიოლიმ, რომელსაც წესიერებისაკენ მოუწოდა პრემიერმა ჯიოლიტიმ, თანამდებობას თავი დაანება. დეპუტატი ვოლტერი პროტესტით გამოვიდა იმის გამო, რომ იტალიის საზღვრების ხაზი გეოგრაფიული და სამხედრო მოტივებით იყო განსაზღვრული იმის მაგიერ, რომ საზავო ხელშეკრულების თანახმად, მიეღოთ ერთა თვითგამორკვევის უფლებანი.

რაზე ოცნებობენ საზღვარგარედ გაქცეული რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერები

ვარშავა. 19 ივნისი. (რადიო). პარიზის ერთ ქუჩის გაზეთში გამოქვეყნებულია „სამშობლოსი და თავისუფლების დაცვის კავშირის“ პროგრამა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი პუნქტი. მოურიგებელი ბრძოლა კომუნისტურ ხელისუფლების წინააღმდეგ, კერძო საკუთრების აღდგენის და მიწის დეკრეტების გაბათილება.

ბურჟუაზიული თარეში.

ბერლინი, 18 ივნისი. (რადიო). პარიზის კომუნისტური პრესა აღშფოთებით აღნიშნავს გამოჩენილ საფრანგეთის მწერალ ანრი ბარბიუსის ბინის გაჩხრეკის ამბავს.

ვრანგელელებს არსად ღებულობენ.

მოსკოვი, 23 ივნისი. (რადიო). სერბიის მთავრობამ უარი განაცხადა ვრანგელის ჯარის მიღებაზე.

ახალი ცარცვა.

ნაუენი, 23 ივნისი (რადიო). ელჩთა კონფერენცია მოითხოვს, რომ გერმანიას ჩამოერთვას ყველა ჰაეროპლანები, რომელნიც ბულონის კონფერენციის შემდეგ ააშენეს. ანტანტა მოითხოვს, რომ გერმანიამ გასცეს ყველა სამხედრო ჰაეროპლანები და 25 პროც. სხვებიც. განსაზღვრულ ვადის გასვლაზე ახალი ჰაეროპლანების აშენება გერმანიას ეკრძალა.

თეთრები არ არჩევენ.

მოსკოვი. 23 ივნისი. (რადიო). რიგის სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა სოციალ-დემოკრატს ბრაუნს. შემთანხმებელი სოციალ-დემოკრატები პროტესტს აცხადებენ და ამბობენ, რომ ბრაუნს არავითარი საერთო არა აქვს კომუნისტებთან. დატუსაღებულია აგრეთვე სოციალ დემოკრატი ლიგატი, თუმცა ის სულ მოწინააღმდეგე კომუნისტებისა.

ზემო სილეზიაში.

ნაუენი. 24 ივნისი. (რადიო). კაცთმოყვარეობის დაცვის მიზნით საჭიროა ბოლო მოეღოს პოლონელთა ძალადობას ზემო სილეზიაში. იუწყებიან პოლონელების ბანდების მიერ ახალ ძალადობის და მკვლელობის ჩადენის შესახებ ლევიცეში, შონბერგში და ბეუჯენში. ის ადგილები, რომლებიც აქამდე გადარჩნენ, ეხლა გაანადგურეს პოლონელებმა ფრანგების ჯარის კაცთა თვალწინ. ფრანგები პოლონელებს ლევიცეში იარაღის ტარების ნებას აძლევენ თავიანთვე განკარგულების წინააღმდეგ, რომლის ძალითაც იარაღის ტარების ნება ეძლეოდა მხოლოდ ფრანგ ჯარის კაცებს.

ძლიერი პროტესტი

ნაუენი. 29 ივნისი (რადიო). ინგლისის მუშათა პარტიის ყოველდღიურ მიტინგზე 4 მილიონზე მეტმა მუშებმა გამოთქვა პროტესტი ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ.

ეკონომიური ცხოვრება.

მოლითის კირის ქარხანა.

სახელმწიფო საამშენებლო კომიტეტმა მიმართა უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმს შუამდგომლობით, რათა იქნეს დაკმაყოფილებული მოლითის კირის ქარხნის თხოვნა ორ მილიონ მანეთის გადადების შესახებ მუშაობის აღორძინებლად.

ფოთის ჭაობების ამოშრობა.

სახელმწიფო საამშენებლო კომიტეტმა მიმართა უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმს, რომ მისცეს მას ავანსათ 15 მილიონი მანეთი მუშაობის მოსამზადებლად და ტეხნიკური მოწყობილობის საშოვნელად ფოთის ჭაობებისა და იმ ჭაობების დასაშრობათ, რომელიც მდებარეობს ბათომ სამტრედიის რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ.

შეშა—ქარხნებისათვის.

ვინაიდან შეშის უქონლობის გამო ჩერდება აგურისა და კირის წარმოება, ამიტომ მიმართა სახელმწიფო საამშენებლო კომიტეტმა მომარაგების საბჭოს, რათა დაუთმოს მან მაგარი ტყის მასალა საამშენებლო მასალის განყოფილებას თავის საჭიროებისათვის.

ცეკავშირის მონაწილეობა შეშის მოზიდვაში.

ტყის კომიტეტის კოლეგიამ ცეკავშირის წარმომადგენელთან, განიხილა საკითხი რკინის გზებით შეშის გაგზავნაში ცეკავშირის მონაწილეობის მიღების შესახებ. დაიდო შეთანხმება, რომლის ძალით ცეკავშირი, იღებს რა ტყის კომიტეტისაგან შეშის გადატანის დაგვარით მზიდავებისათვის მისაცემათ საჭირო თანხებს და პროდუქტებს, იბარებს მათგან შეშას სადგურებში, უნიშნავს ადგილებს შეშის დასაწყობათ და ინახავს შეშას გაგზავნამდე. ამ მუშაობისათვის ცეკავშირმა უნდა მიიღოს 2 პროც. მთელი იმ ფულისა, რომელიც გაივლის მის ხელში: ხარჯის ფული ცეკავშირს ეძლევა იმდენი, რამდენსაც იგი ნამდვილათ დახარჯავს.

მუშა-გლეხთა ინსპექცია

ამ ჟამად მუშა-გლეხთა ინსპექცია ზრუნავს, რომ ინსპექციის მუშაობაში მუშათა მასაც ჩააბას. მუშების საკონტროლო მუშაობის გაცნობის მიზნით ინსპექციას ფართო გეგმა აქვს დასახული, შემუშავებულია პროექტი პროფკავშირებიდან მშრომელ მასის ამ დარგში ჩასაბმელად იმ ანგარიშით, რომ ყოველი კოოპერატიული წევრი სარევიზიო კომისიისა გაეცნოს მუშაობას საფუძვლიანად. პროფკავშირების ყველა წევრთა მონაწილეობა ინსპექციის მუშაობაში სასურველია აგრეთვე იმ აზრითაც, რომ მომავალში, მრავალ რთულ რევიზიის დროს, როგორც მაგალითად, სასურსათო მომარაგების საქმეთა რევიზიის დროს და სხვა, როდესაც ინსპექციას განსაკუთრებით დასჭირდება თავის თანამშრომელთა სიმრავლე, ეს პირები მუშაობის საქმეში ჩართულნი, ეჭვს გარეშე, თავის სპეციალობის გარეშე, თავის წვლილს შეიტანენ რესპუბლიკის აღმშენებლობის საქმეში. ერთდროულად რომ გაამრავლონ სპეციალისტების რიცხვი საკონტროლო საქმეში, ინსპექციას აზრად აქვს გახსნას სპეციალური ორ თვიანი კურსები, სადაც საერთო განათლების საგნებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კონტროლის საქმეს. საამის ნაყოფიერობისათვის პროფსაბჭოს რეკომენდაციით იქნება შემდგარი კურსანტების კადრი. მეცადინეობა საღამოთი აქვთ განზრახული, დილაობით კურსანტები გაეცნობიან პრაქტიკულს მუშაობას სარევიზიო საქმეებში მონაწილეობით, რომლებსაც აწარმოებენ ინსტრუქტორ რევიზორები.

თბილისის ქალაქის რევკომში

ბინის საკითხი.

საქართველოს რევკომის პრეზიდიუმის სხდომაზე მუშათა ბინის საკითხზე გადაწყდა: წინადადება მიეცეს მუშათა დაბინავების კომისიას განაგრძოს ფიზიკური მუშათა გადმოსახლება—ჩასახლება იმ 8 სახლში, რომელიც მიჩნეულია ამ მიზნისათვის; აირჩეს ახალი კომისია კომპარტიის, პროფკავშირის, საქალაქო რევკომის, შრომის სახალხო კომისარიატისა და სხვა წარმომადგენელთაგან; დაევალოს ამ კომისიას ყოველმხრივ დაამუშაოს მუშათა ბინის საკითხი, რამდენი სახლი და ბინაა მათთვის საჭირო, განსაზღვროს სიტყვა „მუშის“ მცნება. ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს მხოლოთ ფიზიკური მომუშავენი, რკ. გზელთა ზოგიერთი კატეგორია, პურის გამომცხობნი და სხვა ასეთები. ამის შემდეგ უნდა წარმოდგენილ იქნას სია ყველა იმ სახლებისა, რაც კი საჭიროა მუშების დასაბინავებლათ. საბჭოთა სახლების და სასტუმროების შესახებ დადგენილ იქნა—მოიწვიონ კომისია კომპარტიის, პროფკავშირებისა, ცენტრალურ საბინაო განყოფილების წარმომადგენელთაგან შემდგარი, რომელსაც დაეკისრება დათვალიერება ყველა იმ შენობებისა, სადაც მოთავსებულია სამხედრო, სამოქალაქო, სახელმწიფოებრივი და საზოგადო დაწესებულებები. ამის შემდეგ უნდა მოხდეს ამ დაწესებულებების გადაჯგუფება და რამდენათაც შესაძლებელია უნდა განთავისუფლდეს ასეთი შენობები საბინაოთ.

ლომბარდების ლიკვიდაცია.

ლომბარდის სალიკვიდაციო კომისიის მოხსენებაზე მის მოქმედების შესახებ, გადასწყდა არსებული კომისია შეივსოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლით; დაევალოს ამ კომისიას, რათა მან გახსნას ყველა ის ყუთები, რაც კი ლომბარდში ინახება, დალაგდეს ეს ერთგვარი საქონელი ცალ-ცალკე სათანადო დაწესებულებებისათვის გადასაცემათ; შესწყდეს ლომბარდიდან ყოველგვარი ქონების გაცემა ვადის გასვლის შემდეგ და ეს ქონება გამოცხადდეს სახელმწიფო კუთვნილებად.

ქრონიკა

ხოლერის მოძრაობა. 26—28 ივნისამდის ავად გახდა ხოლერით 27 კაცი, მათ შორის ბაკტერიოლოგიურათ აღმოჩნდა 11.

ქალაქის რევკომში. ცენტრალური საბინაო განყოფილების კოლეგიის თავმჯდომარედ ქალაქის რევკომმა დანიშნა ამხ. კალანდარიშვილი, მოადგილედ და კოლეგიის წევრად დანიშნულია ამხ. აპარინი. ქალაქის რევკომის მიერ მუშავდება პროექტი საბინაო განყოფილების რეორგანიზაციის შესახებ.

საბინაო ცენტრის მოღვაწეობა. თანახმად ცენტრალურ საბინაო განყოფილების ცნობებისა, გაცემულია ორდერები: თებერვალში 4,246, მარტში—3,178, აპრილში—4,160, მაისში—3,460 და ივნისში—1,972.

მილიციის მოღვაწეობა. მაისში მომხდარ დანაშაულობათაგან, აღმოჩენილია მილიციის მიერ ბოროტმოქმედნი: 1) ბინების გამქურდავნი 88 პროც. 2) მძარცველნი 100 პროც.; 3) ჯიბგირნი—88 პროც. და 4) კაცის მკვლელნი—100 პროც.

უმაღლესი რევტრიბუნალის გახსნა. შაბათს, 2 ივლისს, დილის 10 საათზე დაიწყება ს. ს. ს. რ. უმაღლეს რევტრიბუნალის სამოსამართლო სხდომები. მოსმენილ იქნება საქმე ტანსეიჩუკისა, რუხაძის და სხვების, რომელთაც ბრალდებათ სახალხო ქონების დატაცება.

სურსათის შემოზიდვა. ამიერკავკასიის რკინის გზების სასურსათო კომიტეტის სახელზე 27 ივნისს მიღებულია შემდეგი დეპეშა: აქტიუბინდან გამოვიდა მატარებელი № 101: 6 ვაგონი ფქვილით, 4 ვაგონი ფეტვით, 4 ვაგონი სიმინდით, ორი ვაგონი ზეთით.

გადასახლება რუსეთში. უკანასკნელ დღეებში რ. გ. სადგურებზე მოგროვილა 109 ვაგონებში 23,000 კაცამდე, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით, რომელთაც სურთ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან რუსეთში გამგზავრება. მიღებულია ზომები მათ გადასაყვანად დანიშნულებისამებრ.

პარტიული ცხოვრება

სოფ. ნაბაკევი

ა. წ. 10 ივნისობის თვეს დაესწარი სოფ. ნაბაკევში (კულაშის საზოგადოება) ქალთა პარტიულ კრებას. როგორც აღნიშნულ კრებაზე გამომცეს, მათ ძალიან სულით და გულით სურთ იმუშაონ, მხოლოდ საუბედუროთ, არ უწყობს ხელს არავითარი სახელმძღვანელო მასალები, როგორც ლიტერატურა, აგრეთვე სხვა და სხვა ნივთები. ამიტომ საჭიროა როგორც ქუთაისის, აგრეთვე სამტრედიის ქალთა განყოფილებამ მიაქციოს ყურადღება და მიაწოდოს ყოველივე საჭირო ლიტერატურა, რომ არ შეფერხდეს მუშაობა პროვინციაში.

ვ. ლ.

ქ. ოზურგეთი (გურია).

1921 წ. 9 ივნისს, ქ. ოზურგეთში შესდგა ოზურგეთის რაიონის კომპარტიის კონფერენცია, რომელზედაც დაესწრო 23 წარმომადგენელი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ს. დოლიძე, მდივნათ შალ. გოგეშვილი. დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება მომენტზე, 2) მოხსენება პარტიულ მუშაობაზე. 3) მოხსენება ადგილებიდან და 4) რაიონული კომიტეტის არჩევა.

კრების გახსნისას შემოდის წინადადება მისასალმებლად დეპეშა გაეგზავნოს ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს რევკომს. კრება ამ წინადადებას ერთხმად ღებულობს, რომლის სისრულეში მოყვანას ავალებს ამხ. ან. დოლიძეს.

I. ამის შემდეგ დღევანდელ მომენტზე მოხსენებას აკეთებს ოზ. სამ. რევკომის თავმჯდომარე ამხ. ან. დოლიძე. ის მოკლეთ ახასიათებს საბჭოთა რუსეთის დღევანდელ მტკიცე და შეურყეველ, როგორც საერთაშორისო, ისე შინაგან მდგომარეობას, კონტრ-რევოლიუციაზე ბრწყინვალე გამარჯვებას, როგორც რუსეთის ძლევა მოსილი პროლეტარიატის და მისი წითელი ლაშქრის თავგანწირულ ბრძოლის ნაყოფს. შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს საბჭოთა საქართველოზე, რომლის მოკლე შინაარსი ასეთი არის: ერთის მხრით საქართველოს კომუნისტური პარტიის თავგანწირულმა ბრძოლამ, ხოლო მეორე მხრით მენშევიკების წყალობით ჩვენი ქვეყნის კონტრ-რევოლიუციის ბუდეთ გადაქცევამ, საბჭოთა რუსეთის ძლევამოსილი წითელი ლაშქრის დახმარებით ბრწყინვალე გამარჯვება გვარგუნა. დიახ, ჩვენ გავიმარჯვეთ, ამოვედით დღის სინათლეზე ბნელი სარდაფებიდან, დაარსდა საქართველოშიც საბჭოთა ხელისუფლება, განთავისუფლდა მშრომელი ხალხი და დღეიდან აქ განთავისუფლებისა, საქართველოს რევკომი, მისი ხელქვეითი ორგანოებიც და კომუნისტური პარტია გამუდმებული და დაუღალავი მუშაობით ცდილობს გამოიყვანოს საქართველოს მუშათა კლასი და ღარიბი გლეხკაცობა იმ მძიმე და აუტანელ მდგომარეობიდან, რომელშიც ჩატოვა ისინი ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ და გაანთავისუფლოს მასსა იმ საშინელებისაგან, რომელსაც ბურჟუაზიული ყოფილი მთავრობა ახვევდა მასის სულსა და გულზე. ჯერ კიდევ ოთხი თვეც არ არის, რაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა, ჩვენ მაგალითად გურიაში მოვაწყეთ საკუთარი აპარატი, ვიცავდით რევოლიუციონურ წესრიგს, ვმტკიცდებით და ვმაგრდებით, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრია გასაკეთებელი, ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია, გვაკლია გამოცდილებაც, მაგრამ ყველაფერი ეს ჩვენ უნდა შევიძინოთ ჩვენი დაუღალავი და ენერგიული მუშაობით, მტკიცე და ურყევი დისციპლინით და რაც თავი და თავია, ჩვენმა პარტიამ უნდა აიტანოს ყოველგვარი გასაჭირი. ჩვენ წინათ მენშევიკების მიერ ვიტანჯებოდით ყოველგვარ დევნით და სასჯელით; დღეს კი, როდესაც მიზანს მივაღწიეთ, უნდა დავიტანჯოთ, უნდა სამსხვერპლოზე დავსდოთ თავი, განხორციელებული მიზნის გასამტკიცებლათ და გასამაგრებლათ. ვისაც ეს არ ესმის, ის არ არის კომუნისტი, ის ვერ ამოგვიდგება გვერდში და ვერც ჩვენი ამხანაგი იქნება. დიახ, ჩვენ ყოველივე ტანჯვა უნდა ავიტანოთ და ამიტომ პირველ ყოვლისა პარტია უნდა დადგეს თავის სიმაღლეზე, ის უნდა გაძლიერდეს, ის უნდა ძლევამოსილი გახდეს და დაამყაროს შიგნით რკინის დისციპლინა, რევოლიუციონური წესრიგის დაცვა, მენშევიკების მიერ მასის მოშხამულ ნაწილში შეჭრა, მასთან დაახლოვება, იქ ნდობის მოპოება, ეკონომიური

დამზადება და ფართოდ მოსახმარებელ საქონლის სოფელში გადასაცვლელათ.

9. საზღვარ-გარეთ ფართო სახმარებელ საქონლის დამზადებისათვის საჭიროა ან უცხო ვალიუტა, ან სავალიუტო ნედლი მასალა; მუნიშვნელო სავაჭრო ოპერაციების დროს ჩვენ თითქმის არა გვაქვს უცხო ვალიუტა; ერთად ერთი ეკვივალენტი, რომელიც ჩვენ შეგვიძლიან შევთავაზოთ, არის ჩვენი სავალიუტო საქონელი; ნედლი მასალის სავალიუტო ფონდის მობილიზაცია წარმოადგენს ძირითად და პირველ ხარისხოვან დავალებას, სავალიუტო საქონლის დამზადება კი შეადგენს ერთ ერთ მეტრძოლ მიზანს რესპუბლიკის ყველა სავალიუტო საქონელი უნდა გადაეცეს საგარეო ვაჭრობის კომისარიატს.

10. ამომღებ მრეწველობის ფარგლებში, წარმოებით კავშირებს ევალებათ მრეწველობის განვითარება და გაფართოება, უმთავრესად საათო—(შავი ქვის, ნახშირის, ნავთის) და ხე ტყის მრეწველობისა, სავალიუტო ფონდის შესაქმნელათ, რომლის საშუალებითაც კაპიტალისტურ ქვეყნებში შეიძლება სურსათის შეძენა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ფართო სახმარებელ საგნების შეძენა სოფელში გადასაცვლელათ.

11. პურის და სავალიუტო ნედლი მასალის დამზადება კრიტიკულ ფინანსიურ მდგომარეობით.

ა) საქართველოს ბონების ფასის დაცემით, ბ) ს. ს. ს. რ. საზღვრებში ყველა საბჭოთა ნიშნების ხმარებით და საქართველოს ბონების გასავლით მხოლოთ ს. ს. ს. რ. საზღვრებში. გ) სახალხო კომისარიატის მიერ ფულის ნიშნების სისტემატიურათ უქონლობა.

12. უახლოესი მორიგი მიზანია 1 ნახ. პროც. მილიონ ფუთი პურის ფონდის შექმნა, ეს ფონდი შეიძლება შევქმნათ საგარეო სავაჭრო ოპერაციებით და საბჭოთა რესპუბლიკების დახმარებით. გარეშე ბაზარზე საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა უნდა შეისყიდოს: უპირველეს ყოვლისა სურსათი; მეორე—საქონელი გადასაცვლელათ. საბჭოთა რესპუბლიკებმა უნდა მოგვცენ—პირველ რიგში სურსათი—მეორე რიგში გადასაცვლელი ნაწარმოები—ნავთი, მარილი. ნაწილობრივ ეს ფონდი შეიძლება დამზადდეს შინაურ ბაზარზე, მაგრამ ამ დამზადების ნაყოფიერებისათვის, ნაჩვენებ პირობათა გარდა, საჭიროა სახალხო სასურსათო კომისარიატის ფართოდ მომარაგება ფულით, ყოველ-დღიურათ ფულის განსაზღვრული ჯამის მიცემა და მისი ფინანსიური მოთხოვნილებათა სრულიად დაკმაყოფილება მეორე რიგში (სამხედრო საჭიროების შემდეგ).

13. მძიმე სასურსათო მდგომარეობა მოითხოვს არაჩვეულებრივ ზომების მიღებას. ყოველი ცოცხალი ძალები უნდა გამოყენებულ იქნას სასურსათო ფრონტისთვის. მხოლოთ პროლეტარიატის უდიდეს ძალღონის დაძაბვას შეუძლიან მოგვცეს არსებითი შედეგები; დამზადებული სასურსათო მოქმედება მოითხოვს სპეციალისტების მოწვევას: მეთვალყურეობის გაძლიერებლათ, მოქმედების სოციალისტურად წასაყვანად და კერძო კაპიტალისტურ ჩვეულებათა საწრაფო გადაჩვევისთვის სახალხო სასურსათო კომისარიატში უნდა ჩაუმატონ ახალი კომუნისტური ძალები; ნათლათ უნდა იქნეს შეგნებული და დამტკიცებული პირველხარისხოვანი მნიშვნელობა სასურსათო მიზნებისა და მხოლოდ სასურსათო სახალხო კომისარიატს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო პოლიტიკის გამტარებელს, უნდა მიეცეს ამ პოლიტიკის განხორციელების უფლება მთელს რესპუბლიკაში, ისე რომ ყველა უწყება, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივათ უწევდეს ყოველ მხრივ დახმარებას, კერძო რევკომებმა არ უნდა აწარმოვონ თავის საკუთარი სასურსათო პოლიტიკა, არამედ უნდა დაემორჩილონ ცენტრს.

14. თავის მხრივ წარმოებით კავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სასურსათო მუშაობაში; მათ ერთის მხრივ უნდა აწარმოვონ მუშათა კონტროლი მეორეს მხრივ კი ამ მუშაობაში ფაქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ: ამ მიზნების მიღწევა შეიძლება სხვა და სხვა გზით; უპირველეს ყოვლისა პროფკავშირები ჰგზავნიან დელეგატებათ თავის წარმომადგენლებს სახალხო სასურსათო კომისარიატის და სასურსათო კომიტეტების კოლეგიებში, რომელიც თავის თავზე არ ღებულობენ მიმდინარე და მუდმივ სამუშაოს, არამედ ახორციელებენ მუშათა კონტროლს, მონაწილეობას ღებულობენ სასურსათო პოლიტიკის საერთო მიმართულებაში და აქვთ მუდმივი და ცოცხალი კავშირი ქვეორგანოებთან და პროფორგანიზაციებთან. შემდეგ პროფკავშირები აწვდიან ქვეორგანოებს აქტიურ და მუდმივ მომუშავეთ, რომელნიც ფაქტიურათ ახორციელებენ სასურსათო პოლიტიკას.

15. აღნიშნულ ზომებით მივაღწევთ სასურსათო ორგანოების სამუშაო ორგანოებათ გადაქცევას, რაც ხელს უწყობს მასში ჯანსაღ ატმოსფერის არსებობას და სოციალისტურ საფუძველში სასურსათო მუშაობის აღმშენებლობას, თავის მხრივ პროფკავშირებმა თავის ეკონომიურ განყოფილებაში უნდა შეიმუშაონ გეგმები სასურსათო რესურსების უფრო მიზან შეწონილათ გამოსაყენებლათ და მოაწესრიგონ მოხმარება და განაწილება, აჩქარონ წარმოება თანახმად მომენტის სასურსათო მოთხოვნილებისა. თავის წარმომადგენლების და სასურსათო ორგანოების საშუალებით ისინი აწარმოებენ და გზას უჩვენებენ მას. კონტროლის ფუნქციისა და აქტიურ მუშაობის გარდა პროფკავშირები ატარებენ, ადმინისტრაციულ განაწილებელ ფუნქციასაც სპეციალურ ულუფის შექმნის, განაწილების და გაცემის სახით, სასურსათო მარაგის აღრიცხვისა, და პროლეტარიატს შორის აგიტაციის სახით პროლეტარიატი უნდა გაერკვიოს სასურსათო მდგომარეობაში, პრინციპების მომარაგების საშუალების და პროლეტარიატის დანიშნულებაზე სასურსათო საკითხში: ეს ფუნქციები ხორციელდება გაერთიანებულ პროფკავშირთა ცენტრალურ და ადგილობრივ მუშათა მომარაგების კომისიების წარმომადგენელთა მეთაურობით.

17. ადგილობრივ სასურსათო ორგანოთა პირვანდელ კონსტრუქციის მუშაობის სინამდვილეში გამორკვეულმა უპირატესობამ აიძულა მომარაგების სახალხო კომისარიატი მისულიყო იმ დასკვნამდე, რომ კოოპერაცია ფაქტიურად დაეყენებინა სასურსათო და კერძოთ დამამზადებელ საქმის სათავეში ყველგან, სადაც კი განვითარდა კოოპერაცია და რომ გარდაექმნა საზოგადოთ ადგილობრივ სასურსათო ორგანოების ცენტრალიზაციის მიმართულება და მთელი აპარატი გაემარტივებინა, ამგვარ რეკონსტრუქციას შეუძლიან სასურსათო მოქმედების გაძლიერება და სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ გადაუხრელად უნდა ხელმძღვანელობდეს პირველ ყოვლისა ზემოაღნიშნულ ზომებით, და მეორე საბჭოთა რესპუბლიკების მცხოვრებთა მთელ ოჯახის სასურსათო დახმარებით.

18. ამიტომ პროფკავშირებს ევალება შექმნა მძლავრი და ჯანსაღ მუშათა კოოპერაციისა, რომელიც შეძლებს მიიღოს და გაანაწილოს სურსათ სანოვაგის და პირველ საჭიროების ნაწარმოებნი. საფაბრიკო საქარხნო და მრეწველ პროლეტარიატს შორის იმ გზით, რომ აცდეს კანცელარის, ბიუროკრატიზმის, და საქმის გაჭიანურებას.

მუშათა მომარაგებისა და კომუნალურ კვების საქმეში მთელი სიმძიმე დააწვება მუშათა კოოპერაციას, რომლის შექმნა და განვითარება პროფკავშირებმა საჩქაროთ უნდა გაატარონ ცხოვრებაში.

19. სასურსათო ორგანოების რეკონსტრუქციას უნდა თან სდევდეს შტატის შემცირება, აგრეთვე შტატის სისტემატიური შემცირებას უნდა ჰქონდეს ადგილი ყველა საბჭოთა წარმოებაში და დაწესებულებაში. შტატის გადიდება იწვევს ავთმყოფურ ზრდას სახელმწიფოს მიერ მომარაგებულ კადრისას და მძიმე ტვირთად აწვება მთელ რესპუბლიკას და ეკონომიურ სიმდიდრის წყაროებს, პროფკავშირებმა უნდა აწარმოონ კამპანიები შტატის შესამცირებლათ უმთავრესად დაწესებულებებში და ადმინისტრატიულ საკონტროლერო პერსონალს შორის, თვალყური ადევნონ შტატის სათანადო დონეზე დაყენებას და წინააღმდეგობა გაუწიონ მის გადიდებას. ამ მიზანს პროფკავშირები ახორციელებენ 3 გზით: ა) სასურსათო ორგანოების საშუალებით, რომელშიც შედიან მათი წარმომადგენლები, კონტროლის და აქტიურ მუშაობის მიზნით. ბ) მაღალ სამრეწველო ორგანოების საშუალებით, რომელშიაც შედიან პროფკავშირთა წარმომადგენლები ან და რომელთა შემადგენლობა სდგება პროფკავშირთა საშუალებით ს. მ. უ. ს. მისი განყოფილებანი და სხვა. გ) განსაკუთრებით მუშა გლეხთა ინსპექციის საშუალებით, რომლის დახმარებით მუშები იძლევიან მუშაკებს და შეუძლიანთ სისტემატიურად და განუწყვეტლივ შეაჩერონ შტატების გადიდება.

კრიზისის თანდათანობით შენელება და ბოლოს მისი სრულიად მოსპობა. აი, რა უნდა დავისახოთ დღეს მიზნათ, აი რაში უნდა დავხმაროთ მთელი ჩვენის ძალღონით ჩვენს უმაღლეს ორგანოებს, რასაც უნდა მოვახმაროთ მთელი ჩვენი ენერგია, რისთვის არის დღეს ძლიერი და რკინის დისციპლინით შეკავშირებული პარტია, რას გვიკარნახებს ჩვენ დღევანდელი მდგომარეობა, რომლისთვისაც უნდა ავამუშაოთ ყველა ჩვენი ცოცხალი ძალები.

II. პარტიულ მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს იქვე ამხ. ა. დოლიძე, რომელიც [illegible] ჯგუფის მომავალ მუშაობას. ამხანაგის მოხსენებას კრება სიამოვნებით ისმენს და ღებულობს, რის შემდეგ გადავდივართ შემდეგ კითხვაზე.

III. მოხსენებები ადგილებიდან. პირველათ მოხსენებას აკეთებს დვაბზუის წარმომადგენელი. როგორც მის მოხსენებიდან ირკვევა, პარტიული ძალების უქონლობის გამო მუშაობა შენელებულია და მოითხოვს ცენტრიდან გამოცდილ ინსტრუქტორ-ორგანიზატორს. იაჩეიკა არსებობს სამი, რომელიც აკავშირებს 53 პარტ. წევრს. იაჩეიკების კრებები იმართება, მაგრამ საჭიროა ცენტრიდან პროპაგანდისტი და ინსტრუქტორები.

2) მეორეთ მოხსენებას აკეთებს შემოქმედის წარმომადგენელი, რომელიც თითქმის იმასვე იმეორებს. ამხანაგის აზრით, ცენტრი მოისუსტებს ლიტერატურის მოწოდების მხრივ, რაც ძალიან აფერხებს პარტიულ მუშაობას. იაჩეიკა არის ოთხი, აკავშირებს 55 წევრს.

3) მესამედ მოხსენებას აკეთებს გურიანთის წარმომადგენელი, როგორც მოხსენებიდან ირკვევა, იქ თავის დონეზეა დაყენებული პარტიული მუშაობა. არის ოთხი იაჩეიკა, ითვლება 53 წევრი, კრებები სისტემატიურად იმართება. მასის სულიერი განწყობილება კარგია.

4) შემდეგ მოხსენებას აკეთებს ხვარბეთის თემის წარმომადგენელი. ამხანაგს მოჰყავს ის ინციდენტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 26 მაისს მიტინგზე. მენშევიკებს აუფრიალებიათ ეროვნული დროშა, მაგრამ იმავე საათში ყოფილა ალაგმული. პარტიული მუშაობა გვარიანათ არის. არსებობს 4 იაჩეიკა აკავშირებს 50 წევრს. კრებები სისტემატიურათ იმართება, სადაც იკითხება სხვა და სხვა ბროშურები და ირჩევა მიმდინარე კითხვები.

5. მეხუთეთ მოხსენებას აკეთებს [illegible] თემის წარმომადგენელი, რომელიც აღნიშნავს პარტიულ მუშაობას საშუალოთ. იაჩეიკა არის 8—120 პარ. წევრით. კრებები იმართება, მხოლოდ მომხსენებელი აღნიშნავს ძალების სისუსტეს.

6. დაბოლოს მოხსენებას აკეთებს ოზურგეთის თემის კომ. პარ. წარმომადგენელი. ამხანაგის სიტყვით პარტია მუშაობს შეძლებისდაგვარათ. იმართება კრებები სისტემატიურათ. იაჩეიკა არსებობს 4—63 წევრით. საერთო მოხსენებიდან გამოირკვა: პარტიული მუშაობა დამაკმაყოფილებელია. კრებები უმეტეს ალაგს სისტემატიურათ იმართება. მთელ ოზურგეთის რაიონში იაჩეიკა არსებობს 27, რომელიც აკავშირებს 403 ძველ პარ. წევრს. (ამ ში არ შედის ბახვი დოლეხაური, ვინაიდგან ვერ გაიგენ სხვა და სხვა მიზეზების გამო კონფერენციის მოწვევა).

4. რაიონულ კომიტეტში არჩეულ იქნენ: 1) ისაკი დოლიძე, 2) შერმადინ დობორჯგინიძე, 3) კოლია მახარაძე, 4) ირაკლი მიმინოშვილი 5) ელიზბარ კალანდაძე. უკანასკნელი არის დანიშნული გურიის კომიტეტის მიერ ოზურგეთის რაიონულ კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნათ.

დასასრულ კრების თავმჯდომარემ ამხ. ს. დოლიძემ მოუწოდა კომიტეტის წევრებს გაემართლებინოთ ამომრჩეველთა იმედები და მტკიცეთ დაიცონ საბჭოთა ძალა-უფლება. კონფერენცია კმაყოფილი დაიშალა.

ყარაჩოლელი.

მუშათა ცხოვრება

ავჭალის წყალ-სადენი.

ავჭალის წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელიც შესდგა 1921 წ. 11 თიბათვეს შესახებ მოხსენებისა ადგილობრივ კ-ტის თავჯდომ.-რის, რომ რკინის გზების ექსპლოატაციის კომისარმა არ დაგვრთო ნება რიგს გარეშე მუშა მოსამსახურეთ და მათ ცოლშვილს შესძლებოდათ მატარებლის ბილეთების აღება სად. თბილისსა და ავჭალის შუა, მიუხედავად მიწერილობისა ქალაქის რევკომის თავჯდომარისა თიბათვის „6“ № 4406 და პირადი თხოვნისა წყალსადენის დირექტორისა და ადგილობრივ კ-ტის თავჯდომარისა, აცხადებს დიდს საყვედურს, რადგანაც წყალსადენის მუშა მოსამსახურეებს უხდებათ რიგში დგომა თითქმის სამი საათი და მაინც ვერ ასწრობენ ბილეთების აღებას, ვინაიდან ხალხით გაჭედილია კასის რიგი (მომეტებულად სპეკულიანტებით) და ბოლოს წყალსადენში მიდიან ფეხით და ამითი ისედაც დასუსტებულნი ფრიად იღლებიან. მუშები თხოულობენ, რომ ეს მათი კანონიერი მოთხოვნილება აუცილებლივ იქნას დაკმაყოფილებული.

კანკავა.

მთავარ სამხ. საინჟენ. სამმართველოში.

დღიდგან საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებისა საზოგადოთ ბევრი რამ გაკეთდა მიუხედავათ პირობების დიდი სიძნელისა. მხოლოთ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია ამ მხრით ერთი დიდი დაწესებულება, ეგრეთ წოდებული მთავარი სამხედ. საინჟენერო სამმართველო. მუშებს დღემდის ერთი თბილი სიტყვაც არ სმენია არავისაგან, როცა სულიერათ სცემს მუშებს. მუშებს უწმაწური სიტყვებით უმასპინძლდებიან თუ ვინმემ გაბედა რაიმე თქვა როგორც მენშევიკების დროს იყო. ამ დღეებში ტანისამოსი და ფეხსაცმელები მოიტანეს დასარიგებლათ მუშა მოსამსახურეებზე. დარიგების შესახებ იყო რაღაც კრების მაგვარი. სამხ. კომის. თქვა: ვიძლევი წინადადებას, რომ პირველათ დაურიგდეს ფიზიკურათ მომუშავეთ. რომ არ მიუწიოთ ფეხ შიშველი მძიმე მუშაობაო. ეს სიტყვა დიდი გამამხნევებელი იყო მუშებზე, მაგრამ სიტყვა სიტყვათ დარჩა [illegible] შინა. და ტანისამოსი და ფეხსაცმელი მიიღეს კანცელარიაში მომუშავეებმა და ეს რომ ასე ხდებოდა, ამას თვით სამხ. კომის. თავისი თვალით ხედავდა, რამაც გამოიწვია ჩუმი ახვრა ფეხშიშველა მუშებში.

მე ვეკითხები სამხ. კომის. რაა მიზეზი, რომ დღემდის კომიაჩეიკა არ შემდგარა? აბა მაგას უკეთესი რა გაკეთეთ რომ ეს გადაიტანეთ მეორე და მესამე რიგის საქმეთ?

იმედია ამაზე მივიღებთ პასუხს.

ერთი მუშა.

პროვინციაში

სოფ. ოსიაური.

29 მაისს, სოფ. ოსიაურში შესდგა მრავალ რიცხოვანი მიტინგი, რომელსაც დაესწრო ახლო მახლო სოფლებიდანაც გლეხები, უნდა ითქვას რომ ამ დღეს გლეხობა შეკრებული იყო რელიგიოზური მიზნებით, ეს არის ისტორიული დღე რომელსაც უწოდებენ ზღუდრობას, მაგრამ გრუზკავროსტის ხაშურის განყოფილების გამგის ამხ. სერგეევის, პარტიული კომიტეტის და კომუნისტური ახალგაზრდობის ინიციატორობით, ამ დღისათვის სოფ. ოსიაურში გაიგზავნა ხაშურიდან მთელი რიგი ორატორებისა, სამხედრო ორკესტრით და დროშებით. მიტინგი დილის 12 საათზე გახსნა ამხ. მაისურაძემ, პირველ სიტყვას აძლევს შერაპის მუშების წარმომადგენელს ამხ. ლაცაბიძეს, შემდეგ ქორიძეს კომუნისტური ახალგაზრდობის სახელით, კოშკინს წითელ არმიელთა სახელით, ელისაბედაშვილს საქართველოს რევოლუციონური კომიტეტისა, ძაძამიას ხაშურის რკინის მუშებისა ბალიძეს კომუნისტური ახალგაზრდობის ც. კ. სახელით, რომელმაც მშრომელ ახალგაზრდა გლეხობას მიმართა განსაკუთრებით და მოუწოდა: საბჭოთა აღმშენებლობაში ახალგაზრდობა ისეთსავე მეტრვალე მონაწილეობას უნდა ღებულობდეს, როგორსაც ღებულობენ უმფროსი ამხანაგები, საბჭოთა რუსეთი თუ დღეს უკვე ზურგ გამაგრებულია, და ევროპის ბურჟუაზია ცახცახებს, ამაში დიდი, საგრძნობი მონაწილეობა ახალგაზრდობასაც აქვს მიღებული. შემდეგ მოჰყავს მაგალითი, თუ როგორ შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა არა ლეგალურ პირობებში ახალგაზრდობა მენშევიკების რეჟიმის დროს, და დღეს კი როდესაც საქართველო უკვე მუშურ გლეხური რესპუბლიკაა ჩვენგან მოითხოვს უფრო გაათკეცებულ დახმარებას მეტი შრომისა და უნარის დახარჯვას. დასასრულს ამხანაგმა მოუწოდა ახალგაზრდა გლეხობას, მეტის ყურადღებით და მეტი ენერგიით მოეკიდოს კომუნისტურ კავშირს და ავსოს მისი რიგები მშრომელმა ახალგაზრდა გლეხობამ. უკანასკნელათ გამოდის გრუზკავროსტის ხაშურის განყოფილების გამგე ამხ. სერგეევი, რომელმაც გლეხებს განუცხადა, რომ დღეს სოფ. ოსიაურში იხსნება ბიბლიოთეკა სამკითხველო, სადაც გლეხს უსასყიდლოთ შეუძლია იკითხოს მუშურ გლეხური პერიოდული გამოცემანი, როგორიც არის ბროშურები, გაზეთები და სხვა. ყველა ორატორების უკანასკნელი სიტყვა იფარებოდა ინტერნაციონალის ჰიმნით. შემდეგ გამოტანილ იქნა მისალმებელი დეპეშა: სოფ. ოსიაურის, და მის ახლო მდებარე სოფლის გლეხობა, მიესალმება საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარეს და ძველ თავგამოდებულ მებრძოლს მუშებისა და გლეხების ინტერესებისას.

თავმჯდომარე: მაისურაძე.

სამტრედია.

სამტრედიის რაიონი წარმოადგენდა გაკოტრებულ მენშევიკების მეორე ბუდეს, თბილისის შემდეგ, როგორც კი რამე საფრთხე მოელოდებოდა ჟორდანია რამიშვილის მთავრობას, მაშინვე მოაშურებდენ სამტრედიის რაიონს შეყუჟული მდგომარეობის გასამაგრებლათ. აქ ყავდათ თავმოყრილი მათ საუკეთესო ძალები, აქ დაარსეს [illegible] სახალხო გვარდიის შტაბი, ცნობილი სერგია ნინუას თავმჯდომარეობით. აქ წყდებოდა მნიშვნელოვანი საკითხები ჟორდანიას „დემოკრატიული რესპუბლიკისა“. თბილისის შემდეგ აქ უმართავდენ რაუტებს და „შეხვედრებს“ სნოუდენ-რენოდელებს, რენეგატ კაუცკის და სხვებს.

მაგრამ აქ ძლიერდებოდა კომუნისტური ორგანიზაცია.

გასაბჭოების შემდეგ სამტრედიის კომუნისტური ორგანიზაცია საკუთარი ძალებით უვლის რაიონს, ასრულებს საქართველოს რევკომის დეკრეტებს, მისი [illegible], აკმაყოფილებს წითელი ჯარის კანონიერი მოთხოვნილებებს და სხვა. სამტრედიის რაიონის რევკომმა და რაიკომმა მოიწვია გლეხთა ყრილობა მთელი რაიონის თემების და უბნების მიწის მოსარიგებელი კომისიებისა. ყრილობა გაიხსნა 24 აპრილში და დამთავრდა 25-ში. რევკომმა და რაიკომმა გაუმართა სადილი ყრილობის დელეგატებს დღისით, საღამოს—უფასო წარმოდგენა.

ყრილობამ მიიღო სახნავ სათეს ნორმათ—7 ქცევა კომლზე, საძოვრათ 2—ქცევა, თუ ვინმეს ქცევაზე მეტი აქვს ეზო მიდამო, ის ჩაეთვლება საყანეთ.

პატარა ტყეები და ბუჩქნარები დასტოვა ხელუხლებლათ, მხოლოდ უდროვოთ ტყეების გაჩეხვას კი აძლევენ თვალყურს.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე წისქვილების ნაციონალიზაცია სამი დებულებით: 1) შემძლებელ მეპატრონეებს ჩამოერთმევათ სრულიათ დიდი წისქვილები, 2) საშუალო წისქვილებიდან ჩარჩებს მოხსნიან, ღარიბებს დატოვებენ თავთავიანთი წილზე, მოხსნილების წილხვედრი საზოგადო ფონდში გადავა.

მთელი შემოსავალი წისქვილებიდან სამინდის ფონდის თემისა რაიონული ცენტრის ხელმძღვანელობით უნდა მოხმარდეს ქვრივ-ობლებს, ღარიბ მოქალაქეებს, ზოგს სესხათ, ზოგს დახმარების სახით.

არ არის ისეთი თემი და კუთხე სამტრედიის რაიონში რომ არ მომხდარიყოს მიტინგები. პარტიული მუშაობა დიდის ხალისით წარმოებს, მიეწყო პროფკავშირები და მომუშავე ქალთა განყოფილებაც.

შეშინებული, ყოფილი მენშევიკები ბნელ საქმეს არ იშლიან. ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს. გაიგებთ ვითომ ბათომში კომუნისტებმა დაცალესო, ბაქო ინგლისელებმა აიღესო, ჟორდანია დიდ ძალი ჯარით მოდის უცხოეთიდანო და სხვა.

თავიანთი ბნელი მუშაობა პიროვნებებზე გადაიტანეს. მაგალითათ 23 მაისს, კულაშის თემში ღამის 12 საათზე ცეცხლი წაუკიდეს ვანო სტურუას სახლს, მისი სახლში არ ყოფნის დროს. შემთხვევით მეზობლებმა გაიგეს ცეცხლის გაჩენა და მორთულ ხმაურობაზედ შეგროვილმა ხალხმა ცეცხლი დროზედ ჩააქრეს.

გვალვების გამო ერთი მესამედი არ იქნება დათესილი ყანები. მომავლისათვის დიდ შიშშია ხალხი.

ძველი კომუნისტი.

ს. მონასტერი.

1921 წ. მაისის უკანასკნელი რიცხვებიდან დაიწყო მუშაობა ახალქალაქის რაიონის მონასტრის გზაზე ტეხნიკი ამხ. ქსოვრელის ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით" მუშაობა მიმდინარეობს დიდის ტემპით. ყოველ დღე მუშაობს 200—400 კაცამდე. დღემდე ცალფეხი ბილიკი გაჰყავთ ოთხ არშინიან სიგანით გზათ" რომელიც აძლევს საშუალებას დღემდე მიმწყვდეულ ხეობაში მთის მცხოვრებლებს თავისუფლათ ურმის გზით მიმოსვლისას; ეს კი დიდათ უადვილებს ცხოვრებას გაჭირვებულ მთის მცხოვრებლებს, რომლებიც შესდგებიან არა ნაკლებ 1000 კომლიდან. 14 თიბათვეს შესდგა აღფრთოვანებული მცხოვრებლების კრება ახალქალაქის სათემო რევკომის თავჯდომარე ვარსიმაშვილის და ახალქალაქის საზოგადოების საადგილმამულო კომიტეტის წევრის თუთაშვილის თანდასწრებით. კრება შესდგებოდა 400 კაცისაგან რომელიც გახსნა და მოხსენებაც გააკეთა რევკომის თავჯდომარემ ვარსიმაშვილმა. უკანასკნელმა აუხსნა ხალხს, რომ მთავრობა ღებულობს ყოველგვარ ზომებს და ცდილობს გლეხების და მუშების ცხოვრების გაუმჯობესებას. როგორიცაა, მაგალითად გზების შეკეთება თესლეულობის მიწოდება, კოოპერატივების გახსნა და სხვა. ყრილობა უცხადებს ერთხმათ მთავრობას ერთგულობას და თავგანწირულათ ბრძოლას მას მტრებთან ასეთ ყურადღების და პატრონობის გაწევისთვის

ა. მორბედაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 71.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტისა.

შენიშნულია, რომ ზოგიერთი მომხმარებელი დაწესებულება და მათი აგენტები დღევანდელ, მეტად მძიმე მდგომარეობის კრიზისის დროს, ყურადღებას არ აქცევენ ტრანსპორტის ინტერესებს, დროზედ არ სცლიან იმათი საქონლით დატვირთულ ქვაბებს (ცისტერნებს) და ვაგონებს. ყველა ამის შემდეგ კი ის არის, რომ უპრალოდ ცდება ვაგონები და ქვაბები, რაც ძლიერ აფერხებს ყოველგვარი ტვირთის და თხელი სათბობი მასალის გადაზიდვას. ამიტომ საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა იმ დაწესებულებათ, რომელნიც სარგებლობენ რკინისგზების გადასაზიდი საშუალებით სასტიკად დაიცვან რკინისგზაზე არსებული გადაზიდვის წესი, თავის დროზე დასცალონ ვაგონები და ქვაბები და საერთოდ მეტის ყურადღებით და სიფრთხილით მოეპყრან ტრანსპორტის საქმეს.

ამ ბრძანების დარღვევისათვის დამნაშავენი იქნებიან მიცემული პასუხისგებაში და დაისჯებიან რევოლუციონური დროის კანონების მთელი სისასტიკით.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი ბ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 28.

ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 37.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტისა.

საბჭოთა საპროპაგანდო დღის მოწყობის შესახებ.

1. იმ მიზნით, რომ საბჭოთა ხელისუფლება გამტკიცდეს და ცნობაში იქნეს მოყვანილი, თუ რა შედეგი მოჰყვა მის მუშაობას, 1921 წ. აგვისტოს 15-ს მთელს რესპუბლიკაში შესდგეს საბჭოთა წესწყობილების საპროპაგანდო დღე.

2. საბჭოთა საპროპაგანდო დღის მოსაწყობად, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივად, დაარსებულ იქნეს განსაკუთრებული, სამი პირისაგან შემდგარი კომისიები, ადგილობრივი რევკომებისა, პარტიული კომიტეტებისა და განათლების განყოფილების მიერ დანიშნულ წარმომადგენელთაგან. კომისიებში თავმჯდომარეებენ ცენტრში—სახალხო განათლების კომისარიატის, ხოლო ადგილობრივად—განათლების განყოფილებათა წარმომადგენლები.

3. ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, კომისიებს ევალებათ შეუდგენ დაუყონებლივ საპროპაგანდო დღისათვის მზადებას და მუშაობას, მჭიდრო კავშირი შექმნან სახალხო კომისარიატებთან და ადგილობრივ რევკომებთან და მათთან ერთად შეიმუშაონ საპროპაგანდო დღის სამოქმედო გეგმა, რათა აღნიშნულ იქნეს ეს დღე მთელი რიგი საზოგადო სასარგებლო დაწესებულებათა დაარსებით.

4. სხვა და სხვა კომისარიატების და რევკომების საჩვენებელ დაწესებულებათა დათვალიერების/მოწყობის საქმისათვის, კომისიებს ევალებათ შეუთანხმდენ სათანადო კომისარიატებს და რევკომებს.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე,

1921 წ. ივნისის 28.

თფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 46.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტისა.

ყველა სასწავლებლებისა და განმანათლებელ დაწესებულებათა განათლების სახალხო კომისარიატის, გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

1. აღზრდა განათლების საქმის ახალი პედაგოგიისა და სოციალიზმის საფუძველზე გარდაქმნისა, გაერთიანებისა და განახლების მიზნით ყველა პირველ დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი, ღია და დახურული, ზოგადი განათლებისა და ყველა ტიპის სპეციალი სასწავლებლები, აგრეთვე სკოლის პასაკამდე აღზრდისა და სკოლის გარეშე განათლების ყოველი დაწესებულება, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო და კერძო, გადაიცეს განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

2. ყველა კრედიტები, რომელიც კი გახსნილი აქვს სახელმწიფო ხაზინის მიერ უწყებებსა და სხვა დაწესებულებათ სწავლა-განათლების საქმისათვის, გადარიცხულ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშზე.

განათლების სახალხო კომისარიატს გადაეცეს აგრეთვე სასწავლებელთა და განმანათლებელ დაწესებულებათა კუთვნილი ყოველი ქონება, შენობები ეზოებით, ინვენტარი, მიწის ნაკვეთები, რომელზედაც შენობებია აგებული თუ არა, გაშენებული ადგილები, ბიბლიოთეკები, ყოველგვარი სასწავლო ნივთები და მოწყობილობები, კაპიტალები, [illegible] და ყველაფერი, [illegible] (I) მუხლში აღნიშნული სკოლებისა და განმანათლებელი დაწესებულებათა საკუთრებას შეადგენდა.

3. განათლების სახალხო კომისარს უფლება ეძლევა დაინტერესებულ უწყებათა და განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან დაარსოს განსაკუთრებული კომისიები, რომელნიც პირველ (I) მუხლში აღნიშნული სკოლებისა და დაწესებულებათა განათლების სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის ვადასა და წესს შეიმუშავებენ მხოლოდ ისე კი, რომ გადაცემა დამთავრებულ იქნეს 1921 წლის აგვისტოს 15 დე.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. ს. ს. რ. რევოლუციონური კომ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 28.

ტფილისი-სასახლე.

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება.

ტფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის პრაქტიკულ სამუშაოს [illegible] ვადის გაგრძელების შესახებ 1921 წლის ივნისის „25“-ი.

ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის მესამე და მეოთხე კურსელ აგრონომ სტუდენტებს, რომელთაც შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით (იხ. „კომუნისტი“ № 62) პრაქტიკულ მუშაობისათვის მიცემული ჰქონდათ ორი თვის შვებულება, სამსახურის, ჯამაგირის და ულუფის შენახვით, გაუგრძელდეთ პრაქტიკულ სამუშაოს შესასრულებლად ვადა ივლისის 1 დან სექტემბრის 1-დე, იმავე წესით.

შრომის სახალხო კომისარი

ლ. დუმბაძე.

საქმეთა მმართველი გ. ბერძნიშვილი

[illegible] კომუნისტური [illegible] კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „[illegible]“. ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—[illegible] მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. ტ.—32

მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის [illegible]—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

პარტიული

მე 4 რაიკომის პრეზიდიუმის

აუწყებს კომიაჩეიკებიდან შაბათობის ყველა მომწყობთ, რომ ხუთშაბათს 30 ივნისს მე-4 რაიკომის დარბაზში (ოლღას ქ. 23) საღამოს 6 საათზე შესდგება სხდომა.

ყველა კომიაჩეიკებიდან შაბათობის მომწყობთა დასწრება სავალდებულოა.

სხვა და სხვა

სახელმწიფო ოპერის თეატრის ხოროში მონაწილეობის მსურველთ ჩაწერა გაგრძელებულია 2 ივლისამდე.

მიღება მოხდება კონკურსის საშუალებით. კონკურსის დღე დამატებით იქნება გამოცხადებული. ჩაწერა ყოველ დღე დილის 11 დან 3 საათამდე.

— თბილისის მაზრის რევკომის იუსტიციის განყოფილება იწვევს მსურველთ ასურეთის და ალბულაღის სახალხო მოსამართლეთა და გამომძიებელთა თანამდებობაზე. ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა.

მისამართი: სასამართლოს ქ. № 32.

პროფკავშირთა პლენუმის სხდომა, რომელიც იყო დანიშნული ა. წ. 28 ივნისს, შესდგება პარასკევს ა. წ. 1 ივლისს კინო „მინიონი“-ს დარბაზში, საღამოს 6 საათზე.

დღის წესრიგი:

1) მუშათა კოოპერატივები.
2) მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა კონფერენციის შესახებ.
3) მოხსენება პროფკავშირთა მე-4-ე ყრილობის შესახებ.
4) მასწავლებელთა კავშირზე.
5) მიმდინარე საქმეები.

ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

პრეზიდიუმი.

ჟურნალი „ლახვარი“

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი“.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების სააგიტაციო განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

ტირაჟი 10,000

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.